


1253
2009



საქართველოს იულოტივა



ISSN 1512-0880
№4 (37) 2009

საქართველოს



ბიბლიოთეკა

ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ მკითხველთა საყურადღებოდ!

2010 წლიდან ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“ შეგიძლიათ გამოიწეროთ კრებულ „მაცნეში“ მითითებული პირობის თანახმად. კვლავ ძალაშია აგრეთვე ჟურნალის მიღება რედაქციის ანგარიშზე პირდაპირი გადარიცხვით. პირდაპირი გადარიცხვით თითოეული ნომრის ღირებულება 2 ლარია, გამონერთ - 2 ლ. 70 თ. ჟურნალი გამოდის ყოველ სამ თვეში ერთხელ.

ჟურნალის რედაქცია

რედაქციის მისამართი:

თბილისი, საბურთალოს ქ. 47

(ყოფილი ნიჟნის პადავის შენობა)

ტელ.: 36-09-51

ინფორმაცია „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ჟურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდნარა სჭურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექტორული მუშაობის

რედაქტორ-კოორდინატორი


საქართველოს ბიბლიოთეკა № 4 (37) - 09
შინაარსი

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები სტატისტიკის თვალთახედვით	4
მეცნიერული ძიებანი	
ოთარ გოგოლიშვილი - მასალები მხარეთმცოდნეობითი მოღვაწეობის ისტორიისათვის	7
ბიბლიოთეკის ისტორია	
ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია, ქეთევან მგალობლიშვილი - „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორები.....	10
წიგნის ისტორია	
რევაზ ლომინაძე - წიგნსაც თავისი ისტორია აქვს	14
ლიტერატურული ხედვა	
ნანა ბიჩინაშვილი - 21-ე საუკუნე და „შეყვარული ბაირონი“	16
მეთოდური კონსულტაცია	
ლაურა ასლამაზიშვილი - მხარეთმცოდნეობითი მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკებში	19
გუგული ჯინჭარაძე - საცნობარო ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხისათვის	21
გვესაუბრება პროფესიონალი	
გულნარა სტურუა - ქვეყნის მიზანი ბიბლიოთეკების გათანამედროვეობა უნდა იყოს	22
ღირსეული წინაპრები	
იური სიხარულიძე - დიდი მხატვრის ცხოვრების ზოგი ასპექტი	26
ზეინაბ ჟიჟილაშვილი - ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა	27
იუბილე	
მანონი ხორავა - „მომბე“ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებისა და გარდაცვალების შესახებ	28
თინათინ იოსავა - უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრების მემკვიდრე	30
მ. ქორიძე - მაყვალა მრეველიშვილი - 100	31
სიტყვა პროფესიონალზე	
მზია ტოგონიძე - პროფესიონალი და კოლეგა	33
კორესპონდენციები	
მ. ზარიძე, ი. პაპუაშვილი - პროფესიული დღესასწაული მცხეთაში	35
ინფორმაცია	
გურამ თაყნიაშვილი 1. შთაგონებითა და გზნებით ნაწერი	36
2. საკლასიფიკაციო ცხრილების ახალი გამოცემა	37
ქრონიკა	
საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები	33
ჩვენი კალენდარი	
2010 წლის ღირსშესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი	40
საცნობოდ საკითხავი	
როგორ იხსენიებდნენ ბიბლიოთეკას ძველად სხვადასხვა ქვეყანაში	42



БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ, №4 (37) -09
Содержание

Некоторые статистические показатели Государственных публичных библиотек Грузии	4
Научные изыскания	
Отар Гоголишвили – Материалы по истории краеведческой работы	7
История библиотеки	
Нинель Мелкадзе, Александр Лория, Кетеван Мгалоблишвили – Директора „Тифлисской публичной библиотеки“..	10
История книги	
Реваз Ломинадзе – И книга имеет свою историю	14
Литературоведческие соображения	
Нана Бичинашвили – 21-ый век и „Влюблённый Байрон“	16
Методические консультации	
Лаура Асламазишвили – Краеведческая работа в публичных библиотеках	19
Гугули Джинчарадзе – К вопросу о систематизации справочной литературы	21
Беседует профессионал	
Гульнара Стурау – Целью страны должна быть модернизация библиотек	22
Прославленные предшественники	
Юрий Сихарулидзе – Некоторые аспекты жизни великого художника	26
Зеинаб Жижилашвили – Достоинно пройденный жизненный путь	27
Юбилеи	
Манон Хорава – „Моамбе„ о творчестве и смерти Эгнате Ниношвили	28
Тинатин Иосава – Летописец жизни и быта простых людей	30
М. Кикнадзе – Маквала Мревлишвили – 100	31
Слово о профессионале	
Мзия Тогонидзе – Профессионал и коллега	33
Корреспонденция	
М. Заридзе, И. Папуашвили – Профессиональный праздник во Мцхета	35
Информация	
Гурам Такниашвили – 1. Написано пламенно, с вдохновением	36
2. Новое издание таблицы классификации	37
Хроника	
Хроника библиотечной жизни Грузии: события, факты	38
Наш Календарь	
Календарь памятных и юбилейных дат 2010 года	40
Чтение для любознательных	
Как называли библиотеки в древности	42





Georgian Library, 4 (37) - 09
Table of content

A Statistical View of State Public Libraries in Georgia	4
Scientific Explorations	
Otar Gogolishvili – Materials on the History of Region Studies	7
History of Libraries	
Nineli Melkadze, Alexandre Loria, Ketevan Mgaloblishvili – The Directors of Tiflis Public Library	10
Book History	
Revaz Lominadze – Even the Book Has Its History	14
Literary View	
Nana Bichinashvili – The 21st Century and Byron in Love	16
Methodological Consultation	
Laura Aslamazishvili – Region Studies in Public Libraries	19
Guguli Jincharadze – On Systematizing the Reference Literature	21
Prof Talk	
Gulnara Sturua – Modernization of Libraries Must Become the Goal of the Country	22
Praiseworthy Ancestors	
Iuri Sikharulidze – Some Aspects of the Great Artist’s Life	26
Anniversary	
Manoni Khorava – Moambe on the Works and Decease of Egnate Ninoshvili	28
Tinatin Iosava – The Chronicler of the Ordinary People’s Life	30
M. Kikodze – Makvala Mrevlishvili – 100	31
The Ancestors We Owe	
Zeinab Zhizhilashvili – The Life Lived With Dignity	33
A Few Words on a Professional	
Mzia Togonidze – A Professional and Colleague	35
Correspondence	
M. Zaridze, I. Papuashvili – A Professional Festivity in Mtskheta	36
Information	
Guram Takniashvili – 1. Written with Inspiration and Excitement	36
2. Classification Tables Republished	37
Chronicle	
The Chronicle of the Georgian Library Life: Events, Facts	38
Our Calendar	
The Calendar of Remarkable Dates and Anniversaries in 2010	40
Some Interesting Facts	
How the Libraries Were Called All Over the World in Older Times	42

საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკები სტატისტიკის თვალთახედვით

საქართველოს საჯარო (ყოფილი მასობრივი) ბიბლიოთეკები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მოსახლეობის ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კულტურული მომსახურების თვალსაზრისით. საჯარო ბიბლიოთეკების ფუნქციები, მისია და ამოცანები ბევრად განსხვავდება უწყებრივი თუ საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებისაგან. საჯარო ბიბლიოთეკების როლისა და დანიშნულების შესახებ არა ერთი და ორი დოკუმენტი და რეკომენდაციაა მიღებული საერთაშორისო დანესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ. იუნესკოს მანიფესტში (1994, ქართული თარგმანი იხ. ჩვენს ჟურნალში, № 1-2001) საჯარო ბიბლიოთეკები მიჩნეულია მოსახლეობისათვის ყველაზე ხელმისაწვდომ კულტურულ-საგანმანათლებლო დანესებულებად, რომლებიც უფასოდ, ოპერატიულად და მიზანმიმართულად ახორციელებენ მოსახლეობის მომსახურებას. ასეთი დანიშნულებისა და მისიის გამო ყველა ქვეყანაში დიდი ყურადღება ექცევა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობას. ასეთი ტიპის ბიბლიოთეკების ქსელი ძირითადად აგებულია ტერიტორიული პრინციპით. საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზების იურიდიულ დოკუმენტაციებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებულ რეკომენდაციებში ჩამოყალიბებულია საჯარო ბიბლიოთეკების განლაგებისა და დაფუძნების პრინციპები და პარამეტრები.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისათვის მოქმედებდა 4200 საჯარო (მასობრივი) ბიბლიოთეკა, 11.000 თანამშრომლით. საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ ცხადი გახდა, რომ სახელმწიფო ამდენ საჯარო ბიბლიოთეკას ვერ შეინახავდა, მათი უმრავლესობა გახსნილი იყო ქსელის მოწყობის პრინციპების დარღვევით; ბიბლიოთეკების მუშაობა წინასწარ იგეგმებოდა და მათი უთუო შესრულება მკაცრ ზედამხედველობასა და კონტროლს ექვემდებარებოდა.

1991/92 წლებიდან დაიწყო საჯარო ბიბლიო-

თეკების ქსელის მკვეთრი შემცირება, ბიბლიოთეკების დახურვა, გამსხვილება. ეს პროცესი მიმდინარეობდა თვითდინებით, ზოგიერთ რეგიონში ადგილობრივი ხელისუფლება ხელაღებით, მოსახლეობის ინტერესების საზიანოდ ამცირებდა ბიბლიოთეკების რაოდენობას, ჩაშლილი იყო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურება; ასეთი მიდგომის თავი და თავი იყო რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობა.

1996 წლის საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულმა კანონმა საბიბლიოთეკო საქმის შესახებ, ერთგვარად შეანელა, ხოლო ზოგიერთ რეგიონში შეაჩერა საბიბლიოთეკო ქსელის უმართებულო შემცირება. კანონი უზრუნველყოფდა საბიბლიოთეკო საქმის განვითარებას მისთვის ფინანსური მხარდაჭერით, საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკის გატარებით. 2002 წელს საქართველოში მიღებულმა კანონმა ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, მთლიანად შეცვალა ბიბლიოთეკების მართვის ვერტიკალური სისტემა, ბიბლიოთეკების დაფინანსებისა და მოვლა-პატრონობის საქმე მთლიანად გადაეცა მუნიციპალიტეტის გამგეობებს. 2000 წლის შემდეგ საქართველოში მკვეთრად შემცირდა საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობის შემცირება; ბევრი დასახლებული ადგილი დარჩა წიგნისა და ბიბლიოთეკის გარეშე. საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოქმედი საკოორდინაციო საბჭო თვალყურს ადევნებდა საბიბლიოთეკო ქსელში შექმნილ სიტუაციას; საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია სისტემატურად ხვდებოდა რეგიონებში ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელებს, რომ დაეცვა ბიბლიოთეკებისა და მოსახლეობის ინტერესები.

საქართველოს მთავრობის სხდომაზე (იხ, ოქმი, № 11, 11 იანვარი, 2001 წ.) სპეციალურად იქნა განხილული ბიბლიოთეკების მდგომარეობა საქართველოში. საკითხი მოამზადა სახელმწიფო მინისტრმა გ. არსენიშვილმა. ინფორმაციების მოსმენის შემდეგ მიიღეს დადგენილება, რომ-

ლის თანახმად, უნდა შექმნილიყო სამთავრობო კომისია. კომისიას უნდა შეემუშავებინა საბიბლიოთეკო სისტემის შენარჩუნებისა და განვითარების მრავალწლიანი პროგრამა". კომისიამ შეიმუშავა "საქართველოს სახელმწიფო საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარების

მათი რაოდენობა შემცირდა ოთხჯერ და უფრო მეტად.

საჯარო ბიბლიოთეკების ქსელი ძირითადად შენარჩუნებული და ზოგან აღდგენილ იქნა.

ამჟამად ბიბლიოთეკების დამაკმაყოფილებელი რაოდენობითი მაჩვენებელი გვაქვს ისეთ რეგიონებში, როგორცაა: თელავი - 26 საჯარო ბიბლიოთეკა, სიღნაღი - 19, ლავოდები - 16, დედოფლისწყარო - 18, გარდაბანი - 20, მარნეული - 18, მცხეთა - 28, დუშეთი - 18, თიანეთი - 14, კასპი - 44, გორი - 53, ქარელი - 18, ბორჯომი - 23, ნინოწმინდა - 19, ხარაგაული - 21, საჩხერე - 14, ტყიბული - 26, ქუთაისი - 23, წყალტუბო - 30, სამტრედია - 30, აბაშა - 18, სენაკი - 17, წალენჯიხა - 18, ჩხოროწყუ - 11, ამბროლაური - 26, ცაგერი - 39, ლენტეხი - 12, ონი - 9. ყველაზე მცირე რაოდენობით ბიბლიოთეკები დარჩა შემდეგ რეგიონებს: საგარეჯო - 4, გურჯაანი - 2, ყვარელი - 3, ახმეტა - 3, დმანისი - 4, თეთრიწყარო - 4, წალკა - 4, ხაშური - 4, ადიგენი - 4, ასპინძა - 4, ახალციხე - 2, თერჯოლა - 3 და ა.შ.



რების 2003-2005 წლების კონცეფცია", რომელიც დამტკიცდა საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის ბრძანებულებით (№ 246, 7 ივნისი, 2003). ბრძანებულება ავალებდა ადგილობრივ საკრებულოებს, მაქსიმალურად შეენარჩუნებინათ ბიბლიოთეკები, რათა არ დარჩენილიყო არც ერთი დასახლებული პუნქტი საბიბლიოთეკო მომსახურების გარეშე.

საქართველო საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობითი მაჩვენებლების ტენდენციებზე პირდაპირი ზეგავლენა იქონია ქვეყანაში შექმნილმა სოციალურმა გარემომ. ასეთი და სხვა სიტუაციების შესახებ ჩვენი ყურნალი ადრევე წერდა (იხ. № 2, 2004); საჯარო ბიბლიოთეკებს ქსელის შენარჩუნებასა და რეაბილიტაციას 2008 წლის 14 თებერვალს მიეძღვნა სპეციალური თათბირი, რომელიც გაიმართა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროში, მაშინდელი მინისტრის ნ. ვაჩიშვილის ინიციატივით. თათბირზე დაისახა საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის რეაბილიტაცია. ამ თათბირმა ბევრწლიად განაპირობა ქსელის ნორმალიზაცია. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკების რაოდენობა - რეგიონებიდან წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2009 1/1-სათვის შეადგენს 823 ბიბლიოთეკას, ე.ი. 4200 ბიბლიოთეკიდან ასეთი ტიპის ბიბლიოთეკა დაგვრჩა 823, ანუ

იმერეთის რეგიონის 12 რაიონიდან ამ თვალსაზრისით ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ხონის (3 ბიბლ.), ბაღდათის (3), ვანის (3), თერჯოლის (3), ზესტაფონის (6) რაიონებში. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბათუმსა და ხუთ რაიონში მხოლოდ ქალაქსა და რაიონების ცენტრებში შეინარჩუნეს თითო საჯარო (ცენტრალური, მთავარი) ბიბლიოთეკები, დანარჩენი სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალები, ადგილობრივი სამინისტროს გადაწყვეტილებით, შეუერთეს საჯარო სკოლის ბიბლიოთეკებს, ასეთი სახის ექსპერიმენტმა ბევრ ქვეყანაში ვერ გაამართლა (ლატვია, უკრაინა და სხვ.), ამიტომ საჯარო ბიბლიოთეკები ყველგან დარჩა დამოუკიდებელი სახელმწიფო ქსელის შემადგენლობაში, პრიორიტეტული დაფინანსებითა და სახელმწიფოს მხრიდან აქტიური მხარდაჭერით. აჭარაში ჩატარებული ასეთი ექსპერიმენტის შედეგები საჭიროებს სპეციალურ შესწავლასა და განზოგადებას.

ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შემუშავებულია საჯარო ბიბლიოთეკების განლაგების გეოგრაფიული პრინციპები, მოსახლეობის წიგნით უზრუნველყოფის მაჩვენებლები და სხვა, რითაც თანაბარ პირობებში აყენებენ საჯარო ბიბლიოთეკებს, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერითა და თანადგომით. ცალკეულ ქვეყნებში შემუშავებული


ნორმატიული აქტები საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის მოწყობისა, ითვალისწინებს იფლასა და იუნესკოს რეკომენდაციებს. ინგლისში, მაგალითად, 2001 წელს შემუშავებული სტანდარტით სტაციონარული ბიბლიოთეკა უნდა მდებარეობდეს მოსახლეობისათვის 20 წუთით ფეხისთ სავალ მანძილზე. გერმანიაში 1 საჯარო ბიბლიოთეკა საშუალოდ ემსახურება 17.000 მცხოვრებს. რუსეთში 500-დან 3000-მდე მცხოვრებთა მომსახურებისათვის უნდა ფუნქციონირებდეს ერთი საჯარო (მუნიციპალური) ბიბლიოთეკა. სოფლის პირობებში ერთი ბიბლიოთეკა უნდა ფუნქციონირებდეს 3-5 კმ-ის რადიუსში. იფლას რეკომენდაციით, ქალაქად მრავალსართულიანი განაშენიანების

ბა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა საბავშვო და ახალგაზრდული განყოფილებით.

ზუგდიდში - 38 ათას მცხოვრებს - 1 ცენტრალური და 1 საქალაქო ბიბლიოთეკა ემსახურება (24 ათასი ლტოლვილის დამატებით), რუსთავეში - ერთი საქალაქო ბიბლიოთეკა ემსახურება 40 000 მცხოვრებს.

შეიძლება დადებით ტენდენციად მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ საქართველოს დიდ ქალაქებსა და რაიონულ (მუნიციპალურ) ცენტრებში შენარჩუნებულ იქნა საჯარო ბიბლიოთეკების მინიმალური რაოდენობა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების საკითხებს, ეს პრობლემა საგანგებო შესწავლასა და რეაგირებას საჭიროებს. იმ რაიონში, სადაც დატოვეს 3,4,5 ბიბლიოთეკა. რაოდენობითი მაჩვენებლების ერთი თვალის გადავლევითაც ცხადი ხდება, რომ საქართველოს ცალკეულ რაიონებში მოსახლეობის საბიბლიოთეკო მდგომარეობა დიდი უარყოფითი მაჩვენებლებით ხასიათდება, ანუ არ არის დაცული მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებები უფასო საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურებისა.

ის ფაქტი, რომ საქართველო მოხსენებული იყო კითხვადობის დონის დაბალი მაჩვენებლების სახელმწიფოთა შორის, მიანიშნებს, რომ დაბალია საზოგადოებრივი ბიბლიოთეკების სარგებლობის დონე, მოსახლეობის კითხვაში




პირობებში ერთი საქალაქო ბიბლიოთეკა უნდა ემსახურებოდეს 20-25 ათას მცხოვრებს. ქალაქის პირობებში მომსახურების რადიუსი არ უნდა აღემატებოდეს 1,5 კილომეტრს. საქალაქო ბიბლიოთეკამდე მოქალაქე უნდა მივიდეს ფეხით 15 წუთის განმავლობაში. ყველა ქვეყანაში, როგორც წესი, მიღებულია მცირე დასახლებული პუნქტების (100-200 მცხოვრებით) მომსახურება არასტაციონარული ფორმებით (ბიბლიობუსები, გაცემის პუნქტები); ასეთი მომსახურების ფორმა საკმაოდ იყო გავრცელებული საბჭოთა კავშირში.

საქართველოს დიდ ქალაქებში მოსახლეობას ერთი საქალაქო ბიბლიოთეკა ემსახურება საშუალოდ თბილისში - 36 ათას მცხოვრებზე - 45 საქალაქო ბიბლიოთეკა; ქუთაისში - 11 ათასს - 23; ბათუმში - 140.000 მცხოვრებს ემსახურე-

ჩაბმა, მათი უზრუნველყოფა ნაბეჭდი და სხვა საინფორმაციო მასალებით. ამ კუთხით განსაკუთრებით ზარალდებიან ბავშვები, მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელთა ინტელექტუალური ზრდა და კულტურული მემკვიდრეობის ათვისება, ბევრად განაპირობებს ქვეყნის მომავალს, მის ინტელექტუალურ და გონებრივ პოტენციალს. საჯარო ბიბლიოთეკების ქსელის გონივრული მოწყობა მეტყველებს სახელმწიფოს კულტურული პოლიტიკის სწორად წარმართვაზე.

რედაქციისაგან: ყურნალი სისტემატურად შემოგთავაზებთ საბიბლიოთეკო ქსელის ფუნქციონირების შესახებ რაოდენობით და ხარისხობრივ მაჩვენებლებს; ასეთი მიდგომა დაგვეხმარება შევიმუშაოთ საქართველოში საბიბლიოთეკო ქსელის განვითარების ხანგრძლივი პერიოდის კონცეფცია.

მეცნიერული ძიებანი



ოთარ გოგოლიშვილი
მასალები სამხარეთმცოდნეო
მოღვაწეობის ისტორიისათვის
(მუზეუმი გათუვის საქალაქო
სასწავლებელი)



კაცობრიობამ უძველესი დროიდან დაიწყო ძეგლების მოკვლევა, დაცვა, გამოყენება და ჩვენება. ამის შედეგად შეიქმნა უძველესი არქივები, ბიბლიოთეკები, ობსერვატორიები, თანამედროვე მუზეუმების ტიპები (მათ შორის ღია ცის ქვეშ), აქვარიუმები, ზოოპარკები, ნაკრძალები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო სახელმწიფო დაწესებულებანი.

მეფეთა, მოგვთა, ქურუმთა, პატრიარქთა, დიდებულთა სასახლეების სამდივნო-სამნიგნობროები, სალარო-საჭურჭლენი არა მარტო ყვავილთა, ხეხილთა, ნერგებისა და თესლების, იშვიათ ლითონთა, საწერ მასალათა მდიდარი საგანძურები იყო, არამედ იქვე ინახებოდა მცნობისა და სათბურებისათვის საჭირო მოწყობილობანი, იშვიათი კალიგრაფიით შესრულებული, მხატვრულად შემკუ საწმისი, სვეტი, გუჯრები, სიგელები, რუკები. ტყავით თუ ქედურებით ნაირფერად დამუშავებული ქმნილებანი, შემთხვევითი არქეოლოგიური მონაპოვარი, ძვირფასი ქვების, მინერალების, მადნეულის ნიმუშები, ნუმიზმატიკური განძები, მცენარეთა ჯიშები, ფრინველთა და ცხოველთა ფიტულები, რქები, ბიუსტები, ფერწერული და სხვა ხელოვნების, ხელოსნობის, ტექნიკის ნიმუშები, რომელთა შესწავლა, განზოგადოება-გამოყენება იმთავითვე იყო გათვალისწინებული.

ქვეყანათმცოდნეობის განვითარების სტიმულს იძლეოდა ახლობელ თუ შორეულ სამეფოებიდან საპატიო სტუმართა ვიზიტების დროს მირთმეული სუვენირები.

მეზობლებთან ქართველთა ურთიერთობა-თანამშრომლობის ახალი ეტაპის დაწყებაზე მისათითებლად "არგონავტიკის" გახსენებაც კმარა.

ასევე ეტაპებს ქმნიან ქართველურ ტომთა ურთიერთობა ბაბილონელებთან, ეგვიპტელებთან, ესპანელებთან, ეტრუსკებთან, კოტეტთან. საქართველოს ირანთან, ინდოეთთან, პართიასთან, ჩინეთთან, რომის იმპერიასთან, ბნელეთის ქვეყნებთან, თურქ-სელჩუკებთან, სლავებთან, ავღა-

ნელებთან, ხვარაზმელებთან, მონღოლებთან, ოსმალებთან, ყიზილბაშებთან ომები და ნაყოფიერი ხანგრძლივი ეკონომიკური, პოლიტიკურ-კულტურული თანამშრომლობანი.

არ შეიძლება არ დავინახოთ ის ინტერესი, რაც გაღვივდა რუსეთის იმპერიის საქართველოში, გაბატონების შედეგად.

უცხოეთის სიძველთა საცავებში ნაჩუქარი თუ მალულად გატანილი მრავალი ქართული ხელნაწერი კოლექციებია დაუნჯებული.

საქართველოში ორგანიზებული ექსპედიციათა შედეგებზე დღემდე არსებული მასალები სრულყოფილად როდი წარმოაჩენს იმდროინდელ სამხარეთმცოდნეო ძიებებსა და მოგზაურობებს.

სასწავლო და სხვა ექსკურსიებისადმი ფართო ინტერესის გათვალისწინებით, რუსეთის განათლების სამინისტრომ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, გვიან შეიმუშავა წინადადებები გუბერნიებში საბუნებისმეტყველო და საისტორიო მუზეუმის დასაარსებლად. ასეთ დაწესებულებათა ამოცანად განისაზღვრა, მოცემული მხარის სხვადასხვა კუთხის შესწავლით, სკოლებში შექმნილი ბუნებრივი და საისტორიო კოლექციების გამდიდრებით, ხალხში ცოდნის გავრცელებისა და ადგილობრივი რესურსების მრეწველობის განვითარებისათვის გამოყენება.

საბუნებისმეტყველო დარგთა ისტორიის შესწავლას ხელს უწყობდა მოსკოვის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბებული პედაგოგიური საზოგადოების შესაბამისი განყოფილება, რომლის მესვეურები მოგზაურობისას უკავშირდებოდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის ხელმძღვანელებს.

მხარის გაცნობისათვის მოსწავლეთა ინტერესის გამოხატულება გასვლები გარეუბნებში და შორეული მოგზაურობანი.

ბათუმელი მოსწავლეები არ ჩამორჩნენ შიდა რუსეთიდან დაძრულ ექსკურსანტებს. მათ გულდასმით დაათვალიერეს მხარის დიდი კულტურულ-ეკონომიკური ცენტრი თბილისი და მოგზა-

ურობაც აღწერეს.

სამინისტროების ოფიციალურ მითითებამდე ბათუმელმა ახალგაზრდებმა საინტერესო ექსპონატებს მიაკვლიეს ქალაქში, გარეუბანში, ქურორთსა და სხვა მდინარეების აუზებში.

ქართველი ერის მოწინავე შვილებმა ალლო აღეს ამ განმაახლებელ პროცესს. ისინი ენერგიულად მესვეურობდნენ მხარის კვლევას, აქ ბიბლიოთეკების, მუზეუმების დაარსებას.

უცხოელთა მფლობელობაში მოქცეულ სამხრეთ საქართველოს მოხილვას, აღწერასა და შესწავლას კავკასიის სამთავარმმართველობის ჩამოყალიბებიდან სხვა მიზნებიც დაემატა.

ჩვენი მხრის კვლევაში ახალ ეტაპს საფუძველი დაედო დ. ბაქრაძის, გ. გოგიტიძის, გრ. გურიელის, ი. კერესელიძის, ვ. ყაზბეგის, ე. თაყაიშვილისა და სხვათა ღვაწლით.

მონაპოვრებზე დაყრდნობით, სამშობლოსთან აჭარის დაბრუნებისთანავე მათვე შეიმუშავეს აქ აგრარული, სოციალური, კულტურულ-საგანმანათლებლო ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები.

განმათავისუფლებელი მოძრაობის უშუალო ხელმძღვანელთაგან ფართოდ წამოწყებულმა მხარის შესწავლამ საშუალება შექმნა ადრევე სწორად შეცნობილიყო ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობა, განეჭვრიტათ ახლადდაბრუნებულ სამშობლოს ამ ნაწილში ეროვნული ცნობიერების ამალღებისა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის ამოცანები.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეოხებით ბათუმსა და პერიფერიებში ადმინისტრაციულ, - კულტურულ სარბიელზე გამოჩნდნენ საზოგადოებრივი წყობილების რეგოლუციურად გარდაქმნისა თუ რეფორმების საშუალებით განახლებისათვის თავდადებული მებრძოლები.

ხალხის გაცნობიერებისათვის მათი ღონიძიებანი (სცენის მოყვარეთა სპექტაკლების გამართვა ჯერ კიდევ ხულოსა და ბათუმში, ხოლო მარადიდში, ქობულეთში და სხვაგან სკოლების, აფთიაქების, საავადმყოფოების დაარსება და სხვა) ერთგვარად, ხელს უწყობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საგანმანათლებლო პოლიტიკის განხორციელებას.

საზოგადოების ასეთმა აღზრდამ კვალი დააჩნია ბათუმში რუსული საშუალო სასწავლებლის (დაარსდა 1881 წელს) საგანმანათლებლო და კულტურულ მოღვაწეობას. აღსანიშნავია, რომ ამ დაწესებულებაში ჩამოყალიბებული ბიბლიოთეკა 1884 წელს საჯაროდ გამოცხადდა. ქართველი რევო-

ლუციონერი მოღვაწეების გავლენით დაარსებული სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები 80-იან წლებში ბეჯითად სწავლობდნენ ბათუმს, მის შემოგარენსა და შორეულ ადგილებსაც.

ასეთ ძიებათა შედეგად, 1890 წელს ბათუმის საქალაქო სასწავლებელში საფუძველი ჩაეყარა მუზეუმს.

ეს მნიშვნელოვანი ფაქტი მიუთითებდა იმაზე, რომ სკოლაში მოწყობილი ეს სასწავლო-საგანმანათლებლო კერა მალე საზოგადოებრივ დანებებულებად უნდა გარდაქმნილიყო.

ბათუმელ მოქალაქეთა, სასწავლებლის აღსაზრდელთა და პედაგოგთა ძალისხმევით მეწყო ექსპოზიცია და მალე მეგზურიც დაიბეჭდა.

სამხარეთმცოდნეო მუშაობის ასეთი თვისობრივი გარდაქმნა მოასწავებდა ჩვენს ქალაქში ქვეყანათმცოდნეობის ძიების ახალ ეტაპზე გადასვლას.

ორი წლის შემდეგ კავკასიის სასწავლო ოლქიდან ქუთაისის გუბერნიის სასწავლებლის დირექციაში გაგზავნილი მიმართვით ითხოვდნენ, ეცნობებინათ მათთვის, ვინ შეადგინა და ვისი ნებართვით დაიბეჭდა ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მუზეუმის მოკლე მეგზური, ვინ დაამტკიცა გამოფენის დათვალიერების წესი და როდის გარდაიქმნა სასწავლებლის მუზეუმი საჯაროდ.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემა წილად ხვდა იმ დროის ბათუმში ახლად გადმოსულ, სოხუმსა და სხვაგან მოღვაწეობის დიდი გამოცდილების მქონეს, ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს კ. მაჭავარიანს, რომელმაც საკუთარი რეპუტაციის შენარჩუნებისა და სხვა მიზნით, თავად იკისრა მეგზურის გამოცემაზე ხელშეწყობა და პასუხის გაცემა. მოფიქრებული პასუხებით მან შეანელა ხელისუფლების წყრომა ამ ახალ სასწავლო-საგანმანათლებლო კერისადმი.

მის ასეთ „სარისკო“ ქმედებას ადვილებდა ისიც, რომ 1892 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების საგუბერნიო მუზეუმების მოწყობის ერთობლივი პროექტი, ხოლო 80-იან წლებში ბათუმის საქალაქო სასწავლებელში მუზეუმისათვის მზადებისას ასეთი წამახალისებელი დოკუმენტი არ არსებობდა. ეს დიდ მნიშვნელობას სძენს ბათუმელთა გაბედულ ინიციატივას, მუყაითობას, მამულიშვილობას.

გასაგებია, თუ რატომ აცხადებდა ეს გონიერი მოღვაწე უმაღლეს ხელისუფალათვის გაგზავნილ პასუხში მუზეუმის მოღვაწეობას ადგილობრივთა სახალისო გატაცებად. ამასთან, კ. მაჭავარიანი სწორად მიუთითებდა „მოსწავლეთა მშობლებსა“ და „ადგილობრივი საზოგადოების“ იმ სურ-

ვილზე, რომ მათ „მუდამ ჰქონოდათ გამოფენის დათვალიერების საშუალება“, შეძლებოდათ ექსპონატების გულდასმით გაცნობა. ამის გამო, — წერდა ინსპექტორი, — მათთვის ვინმეს საამისო უფლება არ მიუნიჭებია, მაგრამ ნამდვილად მე დავრთე ნება დაებეჭდათ მოკლე მეგზური, რომ შემდეგ მეთხოვა ხელმძღვანელებისათვის ხსენებული მუზეუმისათვის დამუშავებული წესდების დამტკიცება.

საზოგადოების მოწინავე ნაწილის ასეთი ინიციატივის გამოვლენით ბათუმის საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორი იმედოვნებდა, მუზეუმით დაინტერესებინა ფართო საზოგადოებაც, ხელი შეეწყოს მათი განვითარებისათვის და გამოეყვანა იმ იზოლაციიდან, რომელშიც ისინი დღემდე იყოფებიანო.

საქმეში დაცულია კ. მაჭავარიანისაგან კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარიაში გაგზავნილი მეგზური, რომელიც ა. ნ. მახარაძეს ლითოგრაფიული წესით რუსულ ენაზე ბათუმში გამოუცია 1892 წლის 12 ნოემბერს.

აღნიშნული ნაბეჭდი პროდუქტის შინდისფერზედა ყდაზე მსხვილი ასოებით აღბეჭდილია: „ბათუმის საქალაქო სასწავლებელში არსებული მუზეუმის მოკლე მეგზური“.

იგივე სახელწოდებაა თავფურცელზეც.

ეს გამოცემა ზომით 17X10.5 სმ-ია. 14 ნაბეჭდ გვერდზე თანმიმდევრულად აღწერილია ექსპონაცია, ექსპონატთა რაოდენობა, რაობა.

მეგზურის პირველი გვერდი გვამცნობს: მუზეუმში შეიქმნა 1890 წელს. მის ბინად გამოყოფილი ორი დარბაზი მეტად მცირე და საკმაო არ არის იმ ექსპონატებისათვის, რაც დღემდეა შეკრებილი. ასეთი სივიწროვის გამო ვერ გავაფართოვებთ ექსპონაციას. არც ახალ განყოფილებათა მოწყობა შეიძლება. თანხების უქონლობა აღრმავებს სიძნელეებს და ამუხრუჭებს უფრო დიდი მუზეუმის შექმნას, რომლის სარგებლიანობაში არავინ დაეჭვდა.

მუზეუმში დაცულია სამ ათასამდე ექსპონატი. კოლექციების შექმნაში მონაწილეობდნენ ბათუმის საქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები.

ჩანს, მშობლებისა და საზოგადოებისათვის მუზეუმელთა ეს მიმართვა თანადგომისა და შემწეობის აღმოჩენის მიზნითაა შედგენილი.

ასეთი მნიშვნელოვანი შესავლის შემდეგ დარბაზების მიხედვით აღწერილია გამოფენა - სტენდები, ვიტრინები, ექსპონატები, კოლექციები.

ექსპონატებს შორის უხვადაა როგორც ადგილობრივ მცენარეთა, ისე აბრეშუმის ქვის, პეპლების, მწერებისა და სხვათა ნიმუშები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენილია ადგილობრივი ძველი საკვების: ღომის, პურეულის ჯიშები, ყაგიზმანის (ალზევანის) ქვამარილი, სოკოები, შავი ზღვის ნიჭარები, მინერალები, პატარა აქვარიუმი, საღებავები, ნიადაგის სინჯი, ნიმუშები ბაქოში მოპოვებული იმ ნავთობისა, რომელთაც ბათუმში გადაამუშავებდნენ და უცხოეთში გზავნიდნენ.

ფიტულებით მდიდრულადაა წარმოდგენილი მხარის ფაუნა, რქების კოლექცია.

მეგზურის მიხედვით, მრავლადაა ექსპონირებული სასმისები, ჭურჭლები, ინსტრუმენტები, ხელსაწყოები, ჭოროხზე ნაოსნობის სქემა და ა.შ.

სამწუხაროდ, თურქთა სასაფლაოზე შემთხვევით ნაპოვნი ადამიანის თავის ქალა არ მიიჩნევა ადგილობრივ ანთროპოლოგიურ ტიპად.

მუზეუმის მნიშვნელოვან კოლექციებს შორის გამოირჩევა ნუმისმატიკური განძი.

გამოფენის განყოფილებებში მოთავსებული იყო ტაბულეები, ცხრილები, რუკები, და სხვა თვალსაჩინოება, საინფორმაციო წყაროები ექსპონატთა მოპოვების ადგილის, დროსა და რაოდენობის შესახებ.

მეგზურის მეცამეტე გვერდზე თვალსაჩინოდ დაბეჭდილია მუზეუმის დასათვალიერებლად განკუთვნილი დღეები და, შესაბამისად, მითითებულია დრო.

კოლექციური და ენერგიული მოღვაწეობის შედეგად შექმნილი მუზეუმის გამგედ დასახელებულია რუსი პედაგოგი ი. ცელოვალნიკოვი.

შემდგომი განვითარების შესაძლებლობაზე მეტყველებს მეთოთხმეტე გვერდზე დაბეჭდილი ოპტიმისტური განცხადება სასწავლებლის მუზეუმის სრული მეგზურის გამოცემაზე.

განხილული საარქივო დოკუმენტები ნათლად გვიმტკიცებს ბათუმში სამხარეთმცოდნეო კვლევა-ძიების ახლებურად წარმართვასა და მუზეუმის ორგანიზაციისათვის ნაყოფიერ პატრიოტულ მოღვაწეობას XIX საუკუნის 80-90-ანი წლების მიჯნაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სიხარულიძე ფრ., აჭარაში ასე იწყებოდა. // ახალი განათლება - 1989, 17-23 ივნისი, - გვ 5.
2. ოლღაშვილი ფ., ერთიანი ძალისხმევით. // ახალი განათლება. - 1999, 20-26 აგვისტო, - გვ. 7.
3. სსცსა, ფ. 422, ან. 1. ს. 3974.
4. იქვე, ს. 2347, ფურც 2
5. იქვე, ფურც. 4.

ბიბლიოთეკის ისტორია

ნინელი მელქაძე, ალექსანდრე ლორია,
ქეთევან მგალობლიშვილი

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორები:

ბავრილ ტოკარავი

[1846 წლის იანვარი - 1852 წლის მარტი]

პოეტი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ეთნოგრაფი, ბიბლიოგრაფი, მკვლევარი და მოგზაური გავრილ ტოკარევი დაიბადა 1796 წელს. იგი მიხეილ ვორონცოვის მოწვევით, 1845 წელს ჩამოვიდა საქართველოში ოდესიდან და მე-7 კლასის მოხელის წოდებით, მეფისნაცვლის კანცელარიაში დაიწყო მუშაობა. მალე იგი დაინიშნა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარად, 1846 წლის იანვრიდან კი, მეფისნაცვლის ბრძანებით, ამ დაწესებულების პირველი დირექტორი გახდა. ტოკარევი დიდი გულმოდგინებით და სიყვარულით შეუდგა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შედგენაზე ზრუნვას. მიუხედავად იმისა, რომ კავკასიაზე ოდითგანვე ბევრი ინერებოდა, ამ მხარის შესახებ არსებული ისტორიული, გეოგრაფიული, სტატისტიკური და სხვადასხვა სახის ცნობების ბიბლიოგრაფიული საძიებელი, ფაქტიურად, არ არსებობდა. დიუბუა დე მონპერეს მიერ შედგენილი საძიებელი მხოლოდ მის მიერ შესწავლილ ნყაროებს მოიცავდა. სწორედ ამან გადააწყვეტინა ტოკარევის კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურის სრული სიის შედგენა. მისი ორწლიანი შრომის ნაყოფს გაზეთ „კავკაზ“ — ში გამოქვეყნებული სტატია წარმოადგენდა.^{1, 2, 3} გაზეთის 1848 წლის 16 აგვისტოს ნომერში იგი წერდა: „... ახლა ამ ბიბლიოგრაფიული ნაშრომის შემდეგ, შემიძლია ტფილისში კარგი, თანმიმდევრული საჯარო ბიბლიოთეკის შედგენაზე ვიზრუნო. ბიბლიოთეკის მთავარი ღირსება მის სპეციალიზაციაში უნდა მდგომარეობდეს“.⁴

გავრილ ტოკარევი კავკასიაში პირველმა შემოიღო ბარათული კატალოგის სისტემა⁵.

ბიბლიოთეკაში სამი ტიპის კატალოგი შეიქმნა: 1. საინვენტარო. 2. ანბანური. 3. სისტემატური. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გავრილ ტოკარევი პირველმა დანერგა, წიგნთა გაცვლითი წესის გა-

მოყენებით, ფონდების გამდიდრების ტრადიცია, რასაც სათავე დაუდო მის მიერ თბილისის პირველი გიმნაზიის ბიბლიოთეკასთან დუბლიკატების გაცვლამ.⁶

1850 წლის 27 ივლისს თბილისში დაარსდა რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენდა კავკასიის შესწავლა გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და სტატისტიკური თვალსაზრისით. 1851 წლის სამ აპრილიდან გავრილ ტოკარევი, როგორც კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურის უზადლო სპეციალისტი, რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში მიიწვიეს სამუშაოდ. მან მშვენივრად შეძლო საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის ფუნქციისათვის გეოგრაფიული საზოგადოების ბიბლიოთეკარისა და საზოგადოებასთან არსებულ კავკასიის მუზეუმის მცველის მოვალეობების შეთავსება. ოდნავ მოგვიანებით კი, 1852 წლის აპრილში, დიდი დატვირთვის გამო, მან არჩევანი გეოგრაფიული საზოგადოების სასარგებლოდ გააკეთა და დატმო „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორის თანამდებობა. თუმცა ამ დაწესებულებასთან კავშირი მას სიცოცხლის ბოლომდე არ გაუწყვეტია.

გავრილ ტოკარევი პარალელურად ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა. 1850 წელს მან, კავკასიაში სამუშაოდ მყოფ 60 პიროვნებასთან ერთად, მონაწილეობა მიიღო მიხეილ ვორონცოვის ინიციატივით დიდ არარატზე (5165 მ) მოწყობილ ასვლაში. გენერალ-ლეიტენანტი ი. ი. ხოძკოსთან, კაპიტან პ. უსლართან და ტოპოგრაფებთან ნ. ბ. ხანიკოვთან და სიდოროვთან ერთად ტოკარევი მუდმივი უამინდობის პირობებში მწვერვალზე მთელი კვირა დაჰყო და რაიონის

ტრიანგულაციური გადაღებები ანარმოა. ეს იყო არარატზე მოწყობილი პირველი სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა. ბრიტანეთის ასოციაციის შრომებში გამოქვეყნებულ იქნა ნ. ვ. ხანიკოვის წერილი, რომელიც არარატზე ყოფნის დროს სიმალღეზე ადამიანის სუნთქვის და სისხლის მიმოქცევის სიჩქარეზე წარმოებულ დაკვირვებებს შეეხებოდა.

გავრილ ტოკარევის კვლევის სფეროს ამიერკავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს და სომხეთის, ისტორიის, ეთნოგრაფიის საკითხები და მატერიალური კულტურის ძეგლები წარმოადგენდა. შეიძლება ითქვას, რომ ტოკარევი კავკასიის მეცნიერული შესწავლის ერთ-ერთი პიონერთაგანი იყო. ამ საქმეში გარკვეული როლი შეასრულა მისმა ნარკვევებმა და სტატიებმა. იგი გაზეთ „კავკაზ“-ის ფურცლებზე პერიოდულად აქვეყნებდა თავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ხასიათის შრომებს („დარიალის ხეობა“, „ერმიადინი და მისი მიდამოები“). ბუნებისა და ისტორიული ძეგლების მონახულების მიზნით, გავრილ ტოკარევი ბევრს მოგზაურობდა: 50-იან წლებში მოიარა ერევნის გუბერნია, აკადემიკოს გ. აბიხთან ერთად მონაწილეობა მიიღო კავკასიის ქედზე ჩატარებულ ექსპედიციაში.

კავკასიის თემამ გარკვეული ასახვა გავრილ ტოკარევის სალიტერატურო შემოქმედებაშიც ჰპოვა. მის მხატვრულ ნაწარმოებებსა და დრამებში („ნებისყოფა“, „ფარნეზა“) გადმოცემულია კავკასიაში მცხოვრებ ხალხთა ისტორია და აღწერილია მათი სულიერი ყოფის სურათები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტოკარევი თბი-

ლისში, კომენდანტის (დღევანდელი გრიბოედოვის) ქუჩაზე ფლობდა რუსული წიგნების პირველ მაღაზიას. უბედური შემთხვევის შედეგად იგი მძიმედ დაავადდა და 1854 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. დაკრძალულია თბილისში, წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში. მან პროფესიონალიზმისა და საკუთარი საქმისადმი დიდი სიყვარულის წყალობით, ხორცი შეასხა მიხეილ ვორონცოვის გრანდიოზულ იდეას — შექმნილიყო ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკა, კავკასიის შესახებ არსებული ლიტერატურის ცენტრალური წიგნსაცავი.⁷

(Endnotes)

1 Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1847, № № 27,28;

2 Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1848, № № 5,6,24,26;

3 Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1848, 16 авг

4 Токарев Г. А. Об источниках сведений о Кавказе: статья библиографическая // Кавказ. – 1848, 16 авг.

5 Берже А.П. Краткий каталог Тбилисской публичной библиотеки:(1846-1861).-Тифлис, 1861: X

6 saqarTvelos muzeumis arqivi. – 1848. – saqme NNN# 3/223 : 218

7 Токарев Г. А.: Некролог // Кавказ. -1854, 12 авг. № 62

ადოლფ პებრის ქე ბერჟე

(1858-1867)

ადოლფ პეტრეს ქე ბერჟე დაიბადა 1828 წლის 28 ივლისს პეტერბურგში; აღიზარდა ცაფინტინის პანსიონში, რეფორმატორთა სკოლაში (1836-1838 წწ). 1847 წელს დაამთავრა გატჩინის ობოლთა ინსტიტუტი და სწავლა განაგრძო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე.^{1,2} 1851 წელს, საუნივერსიტეტო კურსის დამთავრების შემდეგ, განაწილებულ იქნა ჩინოვნიკად კავკასიაში, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან. ფრანგი ორიენტალისტისა და ქართველოლოგის მარი ბროსეს რეკომენდაციით, იგი გადავიდა სამუშაოდ რუსეთის საიმპერა-

ტორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმში. 1853 — 1856 წლებში, მეცნიერული ხაზით მან 2-ჯერ იმოგზაურა სპარსეთში. 1856 წელს ადოლფ ბერჟე კავკასიის განყოფილების საქმეთა მმართველად აირჩიეს. ამავე დროს იგი ამ დაწესებულების ბიბლიოთეკარის მოვალეობასაც ასრულებდა.

1858 წლის დასაწყისში კი თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად დაინიშნა. პალექსანდრე ბარიატინსკიმ მიაქცია რა ყურადღება ბიბლიოთეკის დაკომპლექტების სპეციფიკას, ადოლფ ბერჟეს მოსთხოვა, რომ მას შეძლების-



დაგვარად შეეგროვებინა კავკასიასა და მისი მიმდებარე ქვეყნების შესახებ არსებული ყველა-ნაირი ლიტერატურა. ადოლფ ბერჟე იზიარებდა ამ მოსაზრებას. იგი წერდა: „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი კავკასიის შესახებ არსებული მასალების სპეციალური წიგნსაცავია, რაც მას სხვათაგან გამოარჩევს“. 1859 წელს ადოლფ ბერჟე თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბექდურ კატალოგზე მუშაობას შეუდგა. ამ საქმეში მის დასახმარებლად ბიბლიოთეკაში კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმარ თველოს მოხელე — ნიკოლოზ პეტრეს ძე კეპენი მიაგვლინეს.⁴ 1861 წელს გამოიცა „ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მოკლე კატალოგი (1846-1861წწ)“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგებოდა: 1. სისტემატური; 2. ანბანური. სისტემატურ კატალოგში სახელწოდებების შეტანის ფორმა სანკტ-პეტერბურგის საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკის უფროსი ბიბლიოთეკარის ვ. სობოლშჩიკოვის სტატიიდან იქნა აღებული.⁵ ფონდების გაფართოების შემდეგ, კატალოგის გაგრძელების გამოცემა იყო გათვალისწინებული. თბილისის საჯარო ბიბლიოთე-

კის მოკლე კატალოგის შექმნამ ადოლფ ბერჟეს საშუალება მისცა ბიბლიოთეკის კოლექციის შემადგენლობა შეესწავლა. იგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ დანესებულება ცალმხრივად იყო დაკომპლექტებული და ბევრი ნაკლიც გააჩნდა: გამოწერილი არ იყო რუსულ, გერმანულ, ფრანგულ ენებზე არსებული ძირითადი პერიოდული გამოცემები, რომელთა საშუალებით საზოგადოება თანამედროვე ევროპულ ლიტერატურას და მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს უნდა გაცნობოდა. ამ მხრივ ბიბლიოთეკის ფონდები განახლებას საჭიროებდა. გაკეთდა სია აუცილებლად შესაძენი სხვადასხვა გამოცემებისა, რომელთაც უშუალო შეხება ჰქონდა კავკასიასთან. შესავსები იყო იურიდიული, ისტორიული, სტატისტიკური, გეოგრაფიული, ფილოლოგიური და კავკასიოლოგიური განყოფილებები. სამაგიეროდ, მდიდრულად იყო დაკომპლექტებული საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური განყოფილებები. გუსტავ რადემ, ჰერმან აბიხმა და იერონიმ სტებნიცკიმ პირველ რიგში შესაძენ გამოცემათა ბიბლიოგრაფიების ნუსხა შეადგინეს.⁶ მივლინებაში მყოფ ადოლფ ბერჟეს, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენისას, ამ სიით უნდა ეხელმძღვანელა. გარდა ამასა, ადოლფ ბერჟემ შეადგინა იმ დუბლეტების სია, რომელთა შეძენასაც იგი სხვა ბიბლიოთეკებში აპირებდა.

კავკასიის მეფისნაცვალმა, დიდმა თავადმა მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვმა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას კოლექციის გასამდიდრებლად ერთდროულად 3500 ვერცხლის მანეთი გამოუყო.⁷ ამ ფაქტთან დაკავშირებით ადოლფ ბერჟე სახალხო განათლების სამინისტროსა და რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის სახელზე გაკეთებულ მიმართვაში წერდა: „... კავკასიის მეფისნაცვალმა ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფიული შემადგენლობის გამდიდრება ისურვა, გაამგზავრა გერმანიასა და საფრანგეთში დავალებით, შემეძინა კავკასიის შესახებ, სხვადასხვა დარგში, სამეცნიერო თხზულებანი“.⁸

მივლინებიდან დაბრუნებული ადოლფ ბერჟე 1864 წლის 26 დეკემბერს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარი სამმართველოს უფროსს ალექსანდრე პავლეს ძე ნიკოლაის მოახსენებდა: „მეფისნაცვლის, დიდი თავადის ნება ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეძენის თაობაზე, აღსრულებულია. ლაიპციგში ცნობილ წიგნით მოვაჭრე ბროქჰაუზისაგან, სანკტ-პეტერბურგში ბიტეპაჟისა და კალუგინისაგან შეძენილია 470 დასახელების წიგნი და 40 დასახე-

ლების რუკა. წიგნების შერჩევისას განსაკუთრებული ყურადღება კავკასიისა და მისი მოსაზღვრე ქვეყნების შესახებ არსებულ გამოცემებს დაეთმო. შექმნილია უახლესი პოპულარული გამოცემები, რომლებიც ნებისმიერი კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკისათვის არის საჭირო. მნიშვნელოვნად შეივსო რუსული ბელეტრისტიკის განყოფილება და სხვადასხვა გამოცემების ნაკლული ტომები. წიგნები მიღებულია და შეტანილია კატალოგში.⁹

პეტერბურგში ყოფნისას, კავკასიაზე არსებული წიგნების ზედმეტი ეგზემპლარების თბილისის საჯარო ბიბლიოთეკისათვის ჩუქების თაობაზე, ადოლფ ბერჟემ თხოვნით მიმართა საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიას.¹⁰ ამ პერიოდში საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის გარდა, თბილისის საჯარო ბიბლიოთეკას წიგნები აჩუქეს: საიმპერატორო საჯარო ბიბლიოთეკამ და სახალხო განათლების სამინისტრომ. ოდესის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის საცენზურო კომიტეტი კვლავ აგრძელებდნენ თბილისში საჯარო ბიბლიოთეკისათვის ახალი გამოცემების გამოგზავნას. კერძო შემოწირულობებს შორის კი გამოირჩეოდა მეცნიერებათა სხვადასხვა დარგში, უახლესი გამოცემებით დაკომპლექტებული ნიკოლოზ ზეიდლიცის წიგნების კოლექცია.¹¹

თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში სამეცნიერო-ორგანიზაციული სამუშაოს დასრულების შემდეგ, ადოლფ ბერჟემეფისნაცვლის სახელზე შედგენილ წერილში წერდა: „ამ ნაწილით პატივი მაქვს ახალი დებულების პროექტი წარმოვადგინო... ის დაავიწყებინებს ექვს წელზე მეტი ხნის განმავლობაში ჩემს აქ მსახურებას. თქვენი აღმატებულებისაგან სხვა, უფრო რთულსა და ძნელ ასპარეზზე (არქეოგრაფიული კომისიის თავმჯდომარე) მინვეული, კადნიერებას გამოვიჩინდი, თუ კვლავ ბიბლიოთეკის გამგებლობაზე ვიფიქრებდი, ... ამიტომ იძულებული ვარ ვთხოვო თქვენს აღმატებულებას, გამათავისუფლოს ამ მოვალეობისაგან“. მაგრამ ბერჟემე შემცვლელი ვერ გამოიქმნა. იგი დატოვეს თავის ადრინდელ თანამდებობაზე, ბიბლიოთეკარად კი ნიკოლოზ კეპენი დანიშნეს.¹²

ადოლფ ბერჟემე მხარი დაუჭირა იდეას, რომელიც ითვალისწინებდა კავკასიის მუზეუმისა და საჯარო ბიბლიოთეკის გაერთიანებას, რის შედეგადაც გამოთავისუფლებული თანხები ორი-

ვე დაწესებულების განვითარებას უნდა მოხმარებოდა. მან და ალექსანდრე ნიკოლაიმ საჯარო ბიბლიოთეკის და კავკასიის მუზეუმის დირექტორის თანამდებობაზე შესაფერისად მიიჩნიეს გუსტავ რადეს კანდიდატურა და ყველანაირად შეუწყეს ხელი ამ ორი დაწესებულების გაერთი-



ანებას. მართლაც 1867 წლის 31 დეკემბერს მეფისნაცვლის მიერ დამტკიცებული კავკასიის მხარის მნიშვნელოვან დაწესებულებათა ახალი შტატების ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე 1868 წლის იანვარში თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა და კავკასიის მუზეუმი გაერთიანდა და დირექტორად დაინიშნა გუსტავ რადე.

1864 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ადოლფ ბერჟემე კავკასიის არქეოგრაფიულ კომისიას თავმჯდომარეობდა. იგი დიდი მონდომებით სწავლობდა საქართველოს და ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის საკითხებს და იკვლევდა ამ რეგიონის შესახებ არსებულ სტატისტიკურ მასალებს. 1866-1886 წლებში მისი რედაქტორობით გამოვიდა ისტორიული დოკუმენტების თერთმეტი ტომი,¹³

რომელიც დღესაც სამაგიდო წიგნად ითვლება კავკასიოლოგიაში. ამავე დროს იგი დაინტერესებული იყო კავკასიური ენების და ლიტერატურის შესწავლით. მის მიერ აზერბაიჯანულ ენაზე შედგენილ იქნა XVIII — XIX საუკუნეების აზერბაიჯანული პოეზიის კრებული, რომელიც გამოვიდა ლაიფციგში 1869 წელს. ადოლფ ბერჟეს დიდი წვლილი მიუძღვის სპარსეთის ისტორიის და ლექსიკოგრაფიის შესწავლის საქმეშიც. მის მიერ რუსულ ენაზე იქნა თარგმნილი ჯალალედინ ყარაბახელის წიგნი სპარსეთის ისტორიის შესახებ. ადოლფ ბერჟემ აგრეთვე შეადგინა და 1868 წელს ლაიფციგში გამოუშვა სპარსულ-ფრანგული ლექსიკონი.

ადოლფ ბერჟე გარდაიცვალა 1886 წლის 31 იანვარს. დაკრძალულია თბილისში ლუთერანულ სასაფლაოზე.

(Endnotes)

1 Гулак Н.Ив. Адольф Петрович Берже как ориенталист. – 1866.

2 Памяти Адольфа Петровича Берже // Кавказа. – 1886. -№ 32

3 saqarTvelos erovnuli muzeumis arqivi.– 1858

4 saqarTvelos muzeumis arqivi. – 1861-1865. – saqme NN№ 10/230 :119

5 Соболевских В. Об устройстве общественных библиотек и составление их каталогов // Журнал Министерства народного просвещения. – 1858, № 11

6 saqarTvelos erovnuli muzeumis arqivi. – 1861-1865. – saqme NN№ 10/230 :67-68

7 Берже А.П. Первое продолжение Краткого каталога Тбилисской публичной библиотеки:(1861-1865).-Тифлис, 1866 :XI

8 saqarTvelos erovnuli muzeumis arqivi. – 1861-1865. – saqme NN№ 10/230 :105

9 saqarTvelos erovnuli muzeumis arqivi. – 1861-1865. – saqme NN№ 10/230 : 124

10 saqarTvelos muzeumis arqivi. – 1861-1865. – saqme NN№ 10/230 : 121

11 Берже А.П. Первое продолжение Краткого каталога Тбилисской публичной библиотеки:(1861-1865).-Тифлис, 1866 : XII

12 saqarTvelos muzeumis arqivi. – 1866-1867. – saqme NNN№ 5/225 : 130

13 Памяти Адольфа Петровича Берже // Кавказа. – 1886. -№ 32

წიგნის ისტორია

რევაზ ლომინაძე
ისტორ. მეცნ. დოქტორი

წიგნის თავისი ისტორია აქვს (გამოკვლევა)



პირველი ქართული სტამბის დამაარსებელს ვახტანგ მეექვსეს არ დასცალდა, თორემ „ვეფხისტყაოსნისა“ და სხვა მნიშვნელოვან ქმნილებებთან ერთად, უთუოდ თავის „სამართლის წიგნსაც“ დაბეჭდავდა, მით უფრო, რომ იგი საქართველოს ყველა სამეფო-სამთავროში გამოიყენებოდა. მაგრამ ისტორიის ქარტეხილების გამო მოხდა ისე, რომ ეს წიგნი პირველად არა ქართულად, არამედ რუსულად დაიბეჭდა. საკითხავი მხოლოდ ის არის, როდის?

საქართველოს დაპყრობის შემდეგ რუსეთის მთავრობამ სამოქალაქო სამართალწარმოებაში ვახტანგ მეფის კანონები ძალაში დატოვა, რად-

განაც ამიერიდან მმართველობის სისტემა და სამართალწარმოება რუსულ ენაზე მოქმედებდა და მოსამართლეებიც რუსი ჩინოვნიკები იყვნენ, საჭირო გახდა ქართული კანონების რუსულ ენაზე თარგმნა. თარგმანზე მუშაობა ოც წელიწადზე მეტხანს გაგრძელდა. ამ დროის განმავლობაში შესრულდა სამი თარგმანი: 1. ყოფილი მდივანბეგის დავით ჩოლოყაშვილისა, 2. სენატორ მირიან ბატონიშვილისა და 3. განსაკუთრებული კომისიისა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის გენერალ ჰოვენის თავმჯდომარეობით. საუკეთესოდ ეს ბოლო თარგმანი მიიჩნეეს და 1825 წლის 28 თებერვლის უზენაესი ბრძანებულე-

ბით1, სამართალწარმოების ყველა საფეხურზე სწორედ ამ თარგმნის გამოყენება გახდა სავალდებულო. ამის შემდეგ კი, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, 1828 წელს ეს კანონები პეტერბურგში სტამბური წესით დაიბეჭდა, თუმცა თვით წიგნში გამოცემის თარიღი არსად მითითებული არ არის.

სანამ ეს მოხდებოდა, ადგილობრივ სასამართლოში, აგრეთვე რუსეთის სენატში, რომელიც საქართველოსათვის უმაღლეს სააპელაციო ინსტანციას წარმოადგენდა, ქართული კანონების რუსული თარგმანის უქონლობის გამო უზარმაზარი რაოდენობით გროვდებოდა გადაუწყვეტელი საქმეები, რაც ხალხის აღშფოთებას იწვევდა. მართალია, სენატი ქართული კანონების რუსული თარგმანის დამტკიცებისთანავე შეუდგა სააპელაციო საქმეების გარჩევას, მაგრამ საქართველოში ქართული კანონების გამოყენების პრაქტიკა აღნიშნული თარგმანის დამტკიცებისა და, როგორც მიჩნეულია, მისი დაბეჭდვის შემდეგაც დიდად არ გაუმჯობესებულა. ათი წლის შემდეგაც კი, საქართველოს მთავარმართებლის - ბარონ როზენის მოწმობით, აქაური სასამართლოები იყენებდნენ ვახტანგის სამართლის წიგნის ან ქართულ ხელნაწერებს, რომლის მუხლებსაც თავისი შეხედულებით თარგმნიდნან, ან ადრინდელ, არასრულ და დაწუნებულ თარგმანს.² ე. ი. სასამართლოებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ქართული კანონების რუსული თარგმანის საბოლოო ვარიანტი, მით უმეტეს, მისი ნაბეჭდი ეგზემპლარები. კანონების ნაბეჭდი წიგნის არსებობა აქ მხოლოდ 1836 წლიდან დასტურდება.

რით აიხსნება ის, რომ სენატმა, რომელსაც, როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია დაფიქსირებული, ვახტანგ მეფის სამართლის წიგნი უკვე 1828 წელს დაუსტამბავს, რვა წლის განმალგობაში ამ გამოცემის არც ერთი ეგზემპლარი არ გამოაგზავნა საქართველოში, სადაც ამ კანონებით უნდა ეხელმძღვანელათ? პასუხი ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანია: სენატი ამას ვერ შეძლებდა იმ მიზეზის გამო, რომ ეს წიგნი ამ პერიოდისათვის დაბეჭდილი არ ყოფილა, საისტორიო წყაროები და თვით პირველი ნაბეჭდი წიგნის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ წიგნის გამოცემის საყოველთაოდ მიღებული თარიღი - 1828 წელი - მცდარია. ჩატარებული კვლევა-ძიება იმ მიმართებით, რომ როგორმე გამოგვევლინა ვახტანგის კანონების სწორედ აღნიშნულ წელს გამოცემის უტყუარობა, უშედეგოდ დამთავრდა. პირიქით, ყველაფერი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს, კერძოდ იმას, რომ ეს წიგნი 1828

წელს კი არა, არამედ უფრო გვიან უნდა დაბეჭდილიყო. მაგალითად, კარგად ინფორმირებული სენატორები კუტაისოვი და მერჩიკოვი, რომლებმაც თბილისშივე სპეციალურად შეისწავლეს სამართალწარმოებაში ქართული კანონების გამოყენების პრაქტიკა, თავიანთ 1831 წლის 26 აგვისტოს ანგარიშში პირდაპირ მიუთითებენ, რომ ამ სფეროში შექმნილი მძიმე მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ეს კანონები „არასდროს არ დაბეჭდილა“³.

შექმნილი ვითარების გაუმჯობესების მიზნით, 1835 წლის 23 ოქტომბერს გამოიცა უზენაესი ბრძანებულება, რომელიც საქართველოს მართვა-გამგეობის ყველა დაწესებულებას კიდევ ერთხელ ავალდებულებდა სამოქალაქო საქმეების გადაწყვეტილებას გენერალ შოვენის კომისიის მიერ შესრულებული თარგმანი გამოეყენებინათ. „ამის უკეთ შესრულებისათვის კი, - მითითებულია ბრძანებულებაში - ეს თარგმანი დაიბეჭდოს“ და საქართველოში გაიგზავნოს⁴. საყურადღებოა, რომ ამ დოკუმენტში არაფერია ნათქვამი უფრო ადრინდელ ნაბეჭდ გამოცემაზე, ის რომ მართლაც არსებულიყო, რაღაც ფორმით აუცილებლად იქნებოდა ნახსენები.

საარქივო მასალებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული ბრძანებულების შესაბამისად, ქართული კანონების რუსული თარგმანი პირველად 1836 წელს დაუბეჭდავთ. იმავე წლის 21 მაისს სენატმა ამ გამოცემის 100 ცალი წიგნი ბარონ როზენს გამოუგზავნა ადგილობრივი სასამართლოებისათვის გადასაცემად, რაც წლის ბოლოს განხორციელდა კიდევ⁵.

ქართული კანონების რუსული თარგმანი 1836 წელს რომ გამოუციათ, ამას სხვა წყაროც ადასტურებს. სენატორ ბარონ პ. განს, რომელიც 1837 წლის შუა ხანებში საქართველოში ჩამოსასვლელად ემზადებოდა, გადასცეს ვახტანგის სამართლის წიგნის „ახალდაბეჭდილი“ ხუთი ეგზემპლარიო - ნათქვამია იუსტიციის სამინისტროს მოხელის მატუსოვის მოხსენებით ბარათშინ.

ლაპარაკი რომ სწორედ პირველ და არა რომელიმე სხვა გამოცემაზეა, თვალნათლივ მოწმობს ის, რომ მკვლევრების მიერ 1828 წლით დათარიღებული გამოცემის ეგზემპლარები, მათ შორის რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი) დაცული ერთადერთი ცალი, დაბეჭდილია სატიტულო ფურცლისა და გამოცემის თარიღის მითითების გარეშე, ერთი და იმავე შრიფტით ერთგვაროვან ჭვირნიშნიან (ფილიგრანიან) ქალაქზე. ამ ქალაქს აქვს თავისი ჭვირნიშნები: A. B. Φ. ან E. B. Φ. და ციფრები

- 1835 და 1836, რომლებიც ქალაქის დამზადების თარიღს აღნიშნავენ. ნიგნის ქალაქის დამზადების ეს წლები კი თავისთავად იმას მოწმობს, რომ აღნიშნული გამოცემა არ შეიძლება და განხორციელებულიყო 1836 წელზე უფრო ადრე. სხვა წყაროების მონაცემებთან ერთად, ქართული სამართლის ნიგნის პირველი ბეჭდური გამოცემის ქალაქის ჭვირნიშნები მისი არა 1828 წელს, არამედ სწორედ 1836 წელს დაბეჭდვის ფაქტს უცილობლად ადასტურებს.

ყოველივე ზემოთქმული მყარი საფუძველია დასკვნისათვის, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ვახტანგ მეექვსის სამართლის ნიგნის გამოცემის ისტორიისა და რუსული მმართველობის დროს ქართული კანონების გამოყენების საკითხის გაგებისათვის: სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში, აგრეთვე ბიბლიოთეკე-

ბის კატალოგებში აღნიშნული ცნობა ამ ნიგნის პირველი რუსული გამოცემის 1828 წელს დასტამბვის შესახებ, მცდარია. სინამდვილეში იგი პირველად მხოლოდ 1836 წელს დაიბეჭდა.

წყაროები:

1. 1 ПСЗ, т. 40, №30272.
2. სცსა, ფ. 2, ა. 1, ს. 3912, ფურც. 4-6.
3. РЦГИА (Спб.), ф. 1268. оп. 1, л. 69.
4. 2 ПСЗ, т. 10, №8505.
5. სცსა, ფ. 2, ა. 1, ს. 3912, ფურც. 15-16.
6. РЦГИА (Спб.), ф. 1268, оп. 1, д. 8, л. 1.
7. Клепиков С.А. Филиграни и штемпеля на бумаге русского и иностранного производства XVII-XX века (справочное пособие) — М., 1959, — с. 38.

ლიტერატურული ხედვა

ნანა ბიჩინაშვილი

XXI საუკუნე და

„შეყვარებული ბაირონი“

„ბაირონი სძულთ ან უყვართ!...
მე ის მიყვარს“.

ამ სიტყვებით ასრულებს პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი თავის ერთ-ერთ წერილს „Crede Byron“ - „ენდეთ ბაირონს“.

პოეტი რამოდენიმე წლის წინ სტუმრობდა მუხიანის 51-ე ბიბლიოთეკას, მოეწყო მისი პოეზიის საღამო. ბიბლიოთეკამ საჩუქრად მიიღო მისი წიგნებიდან ერთ-ერთი ასეთი - „Remember me, მომიგონე მე“, რომელიც მიძღვნილია ბაირონის სიყვარულით გახელებულ ლედი კაროლინა ლემის, მერი ჩავორტისა და ტერეზა გამბა გვიჩიოლის მგზნებარე და თავგანწირულ გრძნობაზე. თავად პოეტი გვიამობობს, „... გადავლახე დრო და სივრცე... ქართული სარკმლიდან შევიხედე იდუმალებით მოსილ მანდილოსანთა სასიყვარულო ისტერიებში, მათთან ერთად გავუმჯობესებდი გენიოს პოეტს, მათთან ერთად ვენამე, ვიეჭვიანე და ვეტრფიალე მას“. და პირველად მსოფლიოში, ქართულმა პოეზიამ იტვირთა ლექსად მოეთხრო ბაირონის ქალების ტკივილი და მწუხარება სიყვარულისთვის. ეს ლექსები სავსეა გულგატეხილ,

სიყვარულისგან შეშლილ და გონდაკარგულ ქალთა სათხოვართ ბაირონისადმი. ამ სიყვარულის ქაოსურ სივრცეში ირევიან სიტყვები: „მე მომიგონე!“, „გააღე კარი!“, „მე შენ მიყვარხარ, დილო პოეტო!“, „ჩემზე ამბობენ, რომ შევიშალე!“.

მაინც, რამ განაპირობა ქართველი პოეტი ქალის ასეთი სიყვარული დიდი ინგლისელი ლორდისადმი?.. პასუხი მარტივი როდია...

თავისუფლება, პოეზია და სიყვარული, სამივეს ბატონი და სამივეს მსახური ლორდი ბაირონი.

ბაირონი - სამეფო გვარის ჩამომავალი - უარს ამბობს ლორდთა პალატაზე, დიდებასა და უზრუნველ ფუფუნებაზე, თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე დაკანონებულ, ჩარჩოში ჩასმულ საზოგადოების ნაწილად ყოფნა. მან თავს განაჩენი გამოუტანა - თავისუფლების სიმძიმე იტვირთა და მოედო ევროპას...

თუმცა „ძლიერი კაცისათვის ყველა ქვეყანა სამშობლოა, როგორც თევზისთვის წყალი“ (ოვიდიუსი), მაგრამ ბაირონს ენატრებოდა სამშობლო, ენატრებოდა თავგანწირვა მისთვის. ერთგული პატრიოტის ვალი კი მოიხდა არა ინგლისის,

არამედ იტალიის, საბერძნეთის წინაშე. ევროპა იქცა მის სამშობლოდ, ეს კი მხოლოდ ძლიერთა, დაუმორჩილებელთა, ერთეულთა ხვედრია და ეს სიცოცხლეშივე იცოდა ბაირონმა, განა თვითონ არ იწინასწარმეტყველა? - „ერთი უნდა ვიყვე, ერთადერთი!“ ეს იყო სისხლის ყვილი, ბუნებამ რომ შვა მის არსებაში მრისხანე გრიგალის სახით, რომელიც მთელი მისი ცხოვრება ბობოქრობდა და არც დაანება, ვიდრე სიცოცხლე არ მისცა სანაცვლოდ. „ახლა კი დავიძინებ“, - ეს იყო უკანასკნელი სიტყვები; ომებისა და ბრძოლების სამშობლომ საკუთარ მიწაზე სამუდამოდ მიაძინა მარადიულობა, ადამიანის სახით მოვლენილი.

თინათინი - ბრძოლა თავისუფლებისთვის, - მისი ცხოვრების მტკიცე და ურყევი საძირკველი. თავისუფლება უფრო ძვირფასია, ვიდრე ჩარჩოში ჩასმული საზოგადოების ნაწილად ყოფნა, ამიტომაც გამოიარა საკანი №7, ამიტომაც ჩუქნიან ქართულ ხმალსა და არა ფარჩა-ატლასებს...

„მე კი... მე, რადგან ქალურობას

სხვაგვარად ვხედავ

და საქართველოს სატიკვარი

მანუხებს ხვალის...

მაჩუქეს, როგორც მეომარსა და

კაბიან მხედარს,

ჩემი ლექსებით მონაგები ქართული ხმალი!...“

უარი განცხრომით ცხოვრებაზე თავისუფლების წილ - არც ეს ყოფილა უცხო მისთვის:

„მე ვდგავარ განზე,

არ ვფუსფუსებ არც ერთ ბანაკში,

და არ დავეძებ ვერცხლის ფასად

შეძენილ სახელს...“

თავისუფლებამ საზღვარი არ იცის (ბაირონი, იტალია, საბერძნეთი), ასე სწამთ თავისუფლებისათვის მებრძოლთ, ამიტომაც შემოწოლია ფიქრი კავკასიაზე ქართველ პოეტს:

„დაინგრა გროზნო და გაქვავდნენ ჩეჩნები,
ირევა პლანეტა რუსული ჩექმებით...“

ვერ შველის პრომეთეს ლექსები მგოსანთა,
ჩეჩნეთის მიწაზე სიკვდილი მობრძანდა“.

და დაინერა „ვანახები“,


„ჩემო იჩქერია“, „მწუხრი ვედნოსთან“...

„ლომი მარტოა და მეც მისი მსგავსი ვარ...“, ბაირონი.

ამორძალად წოდებულს, სრულიად დამსახურებულად ლომი უწოდეს და ისიც მარტოხელა და მარტოსულია...

„მე არ მსურს დათმობა, მე უსაზღვრო მრისხანებას 48 საათის განმალგობაში განვიცდი“,

- ბაირონი. მას წილად ხვდა გამხდარიყო პროტესტის გამომხატველი თავისი სამართლიანობამორღვეული დროის გამო. მისი პოეზია, ეს არის განმარტოებით დოგმა, სავსე სევდით, მსოფლიო არარაობის გამო. სიძულვილი უსამართლობისადმი, ჩაგვრისა და მტაცებლობისადმი, - ეს ამბოხებულთა პოეზიაა და როგორ ახლოსაა იგი ლექსებთან: „თბილისის ძმათა სასაფლაო“, სადაც თინათინ მღვდლიაშვილი უმკაცრეს და უმაღლეს ღალატზე, XX საუკუნის გარნისზე გვიყვება: „რა ღირს, ბატონებო,



საქართველო?“ - ეს კითხვა უკვე პროტესტია, თვითონ ლექსი კი ცინიკურად გამოხატული მწარე რეალობა, რეალობა იმაზე, რომ იყიდება სამართალი და ნაჭერ-ნაჭერ ჩვენი საქართველო. განსხვავება ერთია დიდ პოეტებს შორის, ერთისთვის ოცნებად იქცა სამსახური და თავგანწირვა თავისი ქვეყნისათვის, მეორეს კი სამშობლოსათვის თავდადებულად სცნობენ უკვე.

XIX საუკუნე. მილანის ლოყები. ციხე-დარბაზები. ქათქათა მთვარიანი ღამეები და ვარსკვლავური საღამოები... აქ გასაყოფი არაფერია, ბაირონი უყვართ. ლეგენდები მრავალი მოისმოდა წარმტაცი პოეტისა, უებრო რაინდისა, უმშვენიერესი ვაჟკაცისა, რომლის ხილვისას, პირველსა თუ მოულოდნელი ხილვისა, გული მისდოდათ

თურმე ქალებს... მისი ტრფიალება მოსდებოდა ნახევარ ევროპას; მისი ცხოვრების პრინციპი ქალისადმი სიყვარული გამხდარიყო, ქალისადმი, რომელიც მეტად მინიერი არსება გახლდათ ბაირონისათვის, მეტად ცოდვილი და ცოდვილივე ფიქრით შეჰყურებდა მას... სიყვარული იყოს მისთვის წუხილი, ბედნიერება, აღმაფრენა და დაცემა. ბეზრდებოდა შემთხვევითი და უთავბოლო ურთიერთობები ქალებთან, მათი გამუდმებული თვალთვალი და მომაბეზრებელი საყვედურები. ქართულმა პოეზიამ შეძლო გადმოეცა ჩვენთვის, როგორ ეჭვიანობდა ლედი კაროლინა ლემი, -

„მძვინვარე ეჭვით ვარ შეპყრობილი
და ამ სენს ვერვინ გამიიოლებს,
და დემონური შენი პროფილი
მაღიზიანებს და გულს მიღონებს“.
კაროლინას შემანუხებელი თხოვნები ზამთრის ცივ ღამეს:

„მილორდ, მე ფეხქვეშ მეცლება მიწა
და თოვლში ვგდვივარ, ვით ცოცხალ-მკვდარი...
ვიცი, სახლში ხარ და ვიცი, გღვიძავს! -
გააღე კარი!“

სიყვარულისგან შეშლილი ლედის საყვედური თვით დედამიწისადმი, რომელმაც ლორდი აღდგომა დღეს ზეციურ სამყოფელში გაგზავნა:

„ო, რა უღმერთოდ მივირწევი ხელის ცეცებით,
მუხლზე ვეცემი, ვერ ვახერხებ
ფეხზე ადგომას...“

სავსე ვარ სიძვით, ცბიერებით და
უმეცრებით, -
რადგანაც ლორდი აღესრულა
ქრისტეს აღდგომას!“

დამცირებული და სასოწარკვეთილი ქალების მწუხარება და მონატრება. ტერეზა გამბა გვიჩიოლი-ბაირონს:

„მიბრძანე! ხელით შევწვდები ღრუბლებს,
თვე მარიამის რომ არ არიონ...
გიგზავნი კოცნას, - ნაზსა და უღვეს,
amor mio! სად ხარ, ბაირონი?“

ფანტასტიური ქვეყნის დედოფლად ქცეული მერი ჩავორტის აღსარება და სათხოვარი ბაირონისადმი:

„ჩემზე ამბობენ, რომ შევიშალე
და საპყრობილედ მექცა სხეული,
რომ ძველებურად ვკრთი შენს წინაშე,
ფერმიხდილი და სულით სწეული.“

...
სიცოცხლე თუნდაც ასი რომ მქონდეს,
მე სამდურავი არ მეთქმის ბედის.
ოლონდ ნუ მეტყვი: მშვიდობით, მერი!

ოლონდ ნუ მეტყვი, რომ ვარ შეშლილი“.

დაუმორჩილებელმა მეზრძოლმა, ამაყმა პოლიტიკოსმა, მეამბოხე პოეტმა და მარად სიყვარულის მიძებნელმა თავი დაამახსოვრა მსოფლიოს, როგორც მარადიულმა.

და მაინც, როგორი იყო იგი? არსებობს მრავალი ისტორიული პორტრეტი ბაირონისა, მისი სახე, ჭეშმარიტი სილამაზე ვაჟაკური, ქალის გული რომ ვერ გაუძლებდა. მრავალ მის პორტრეტს შორის ჩადგა ახალი სახე ლორდისა, რომელსაც „შეყვარებული ბაირონი“ ეწოდა.

ამ პორტრეტის შექმნა დაკავშირებულია ხსენებულ ბუკლეტთან ბაირონზე, „Remember me“. მისი ავტორი, თინათინ მღვდლიაშვილი, გვიყვება, რომ ეს ბუკლეტი გაიგზავნა ა. შ. შ-ის ფლორიდის შტატში მცხოვრებ ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანთან, რომელმაც იგი გაუგზავნა ნიუ-იორკში მცხოვრებ მხატვარს, ქალბატონ ცისანა ჯანაშვილს. ლექსებით შთაგონებულმა მხატვარმა შექმნა ბაირონის ახალი პორტრეტი, რომელსაც ეწოდა „შეყვარებული ბაირონი“.

ამაყი ლორდის სიტყვებმა „მე იმ მხიარულ მენისქვილეს ვგავარ, რომელსაც არც არავინ უყვარს და არც არავის უყვარს“ საბოლოოდ დაკარგეს აზრი, რადგან უკვე საუკუნეები ამცნობენ, რომ ბაირონი შეყვარებული ყოფილა, თვითონ პორტრეტმა კი წარმოუდგენელია არ გვაფიქრებინოს, რომ ეყვარებოდათ ბაირონი. ლორდს დანანებით უთქვამს ერთხელ: „მე უნდა მედეა შემხვედროდა, სხვა არავინ, მედეა იყო ჩემთვის საჭირო“. და აი, საჩუქრად მსოფლიოს „შეყვარებული ბაირონი“ კოლხი მედეას სამშობლოდან.

ბაირონი ახსოვთ, როგორც თავდადებული მეომარი, ძლიერი შემოქმედი, შეუდრეკელი პოლიტიკოსი... ჩვენ ის მუდამ გვემახსოვრება, როგორც შექმნილი სიყვარულისთვის. ბაირონი ისევე ისე ძლიერად უყვართ, როგორც იგი უყვარდათ საუკუნეების წინ. იგი არის გენია, მისდამი მარადიული სიყვარული კი უკვე იტვირთა მსოფლიომ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაჩეჩილაძე გ. ბაირონი. - თბ., 1938.
2. ჩხეიძე ოთარ. იტალიური დღიურები ბაირონისა - თბ., 1976.
3. მღვდლიაშვილი თინათინ. Remtmbere me, მომიგონე მე. - თბ., 2007.
4. მღვდლიაშვილი თინათინ. მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო. - თბ., 2008.



მეთოდური კონსულტაცია

ლაურა ასლამაზიშვილი
ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი

მხარეთმცოდნეობითი მუშაობა საჯარო ბიბლიოთეკაში

ქვეყნის, სამშობლოს შეცნობა-შესწავლა მშობლიური მხარის შესწავლით იწყება. პიროვნებას თავდაპირველად სრული წარმოდგენა უნდა შეექმნას იმ მხარეზე, სადაც დაიბადა, გაიზარდა და შეგნებული ცხოვრება დაიწყო. თითოეული ჩვენთაგანი კარგად უნდა ერკვეოდეს მშობლიური მხარის ბუნებრივ პირობებში, მეურნეობის სპეციფიკასა და სანარმოო ძალების თავისებურებაში. მშობლიური მხარის შესწავლის გარეშე შეუძლებელია ქვეყნის ისტორიის სრულყოფილად შესწავლა და, პირიქით, საქართველოს ისტორიის შესწავლის გარეშე შეუძლებელია მთლიანი წარმოდგენა გვექონდეს მშობლიური მხარის ისტორიული წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ. სწორედ ამ მიზანს ისახავს მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ორგანიზაცია საჯარო ბიბლიოთეკებში.

მხარესთან ურთიერთობის გარდა, ჩვენ გვაქვს საქმე დოკუმენტურად დაფიქსირებულ მასალასთან. წიგნები, ხელნაწერები, ვიდეოდოკუმენტები და ა. შ. ყველა ეს დოკუმენტი სრულადაა შეკრებილი ბიბლიოთეკებსა, არქივებსა, მუზეუმებში.

იმისათვის რომ ბიბლიოთეკამ სრულყოფილად წარმოადგინოს მხარეთმცოდნეობითი მუშაობა, შეუქმნას მკითხველებს მშობლიური მხარის შესახებ წარმოდგენა, საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, საბიბლიოთეკო ფონდები სრულყოფილად შეივსოს მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურით, რომელშიც ძირითადი ადგილი უნდა ეჭიროს ისტორიული, გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული ხასიათის გამოცემებს, ცნობარებს, ენციკლოპედიებს, მემუარული შინაარსის წიგნებს, მხარის ცნობილ ადამიანებისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს. საჭიროა სრულყოფილი საცნობარო აპარატის ორგანიზება. კატალოგებისა და კარტოთეკების სისტემაში ყოველმხრივ უნდა აისახოს ისეთი ლიტერატურა, რომელიც თავისი შინაარსით შეეხება მხარის, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას.

ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საჯარო ბიბლიოთეკებში მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის საცნობარო აპარატი შედგება:

1. მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის შეერთებული კატალოგისაგან (შეერთებულ კატალოგად

შეიძლება მივიჩნიოთ „ქართული წიგნი“ ტ. 1-3, სადაც გარკვეული წესითაა აღრიცხული საქართველოში გამოცემული მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურა);

2. ადგილობრივი პერიოდული და გრძელვადი გამოცემების კარტოთეკისაგან;

3. შესრულებული ბიბლიოგრაფიული ცნობების კარტოთეკისაგან, რომელშიც უმეტესად ასახულია შესატყვისის მასალა.

საქართველოს თითოეული მხარის შესახებ ყოველმხრივ ინფორმაციას შეიცავს „ქართული ენციკლოპედია“, როგორც უნივერსალური შინაარსის საინფორმაციო წყარო. მას პრაქტიკული დახმარების განევა შეუძლია როგორც ბიბლიოთეკარებისათვის, ისე მკითხველთათვის. „ქართული ენციკლოპედიის“ სპეციალური მე-11 ტომი ეძღვნება საქართველოს. ეს ტომი შედგება საქართველოს ისტორიის, კულტურის, ხელოვნების და სხვა დარგებისადმი მიძღვნილი მასალებისაგან.

საქართველოს შესწავლაში დიდი დახმარების განევა შეუძლია ასევე ბიზანტიელ მწერალთა ცნობების კრებულს „გეორგიკას“, თემატურად „გეორგიკა“ აშუქებს შემდეგ საკითხებს: ქართველთა წარმომავლობა და მათი გაქრისტიანების ისტორია, რიტორიკული სკოლა კოლხეთში, პეტრე იბერიელის მოღვაწეობა, დიდი ომიანობა ლაზიკეთში და ა. შ. ეს ნაწარმოები 8 ტომად გამოქვეყნდა 1934-1940 წლებში. ტექსტი ქართული თარგმნებითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა.

საერთოდ, ტერმინი „გეორგიკა“ არ მოიცავს მართო ბიზანტიელ მწერალთა ცნობებს საქართველოს შესახებ. ეს ტერმინი აერთიანებს საქართველოს შესახებ უცხოურ ქვეყნებში გამოქვეყნებულ მასალებს. უძველესი დროიდან საქართველოს შესახებ წერდნენ ბიზანტიელები, არაბები, სომხები, ბერძნები, რუსები. არაბული ცნობები საქართველოს შესახებ მოგვეპოვება VIII საუკუნიდან. ბევრი რამ შემონახულია ეპიგრაფიულ და პალეოგრაფიულ ძეგლებში, აგრეთვე ხელნაწერი წიგნების სახით.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან რუსებმა გამოიჩინეს გარკვეული ინტერესი საქართველოსადმი. რუსმა მეცნიერებმა და მოგზაურებმა შეადგინეს ცნობარები, გზამკვლევები საქართველოსა და კავ-

კასიის შესახებ.

საქართველოს თითოეული კუთხის შესახებ საინტერესო ცნობებს გვანჯდის „ქართლის ცხოვრების“ მეოთხე ტომი - ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა ქართლისა“ (1973). ეს ნიგნი საისტორიო ხასიათისაა, იგი აღჭურვილია მდიდარი საცნობარო აპარატით.

მხარის შესახებ საინტერესო ცნობებს შეიცავს ე. წ. ლინგვისტიკური მასალები, ადგილობრივი კილოკავების, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული ექსპედიციების ჩანაწერები.

საჯარო ბიბლიოთეკების საქმიანობა მხარეთმცოდნეობის მიმართულებით ეფუძნება საცნობარო-ბიბლიოგრაფიულ აპარატს, რომელიც შედგება კატალოგებისა და კარტოთეკებისა, მხარეთმცოდნეობითი გამოცემებისა, თემატური საქალაქო-ეზისა და ალბომებისაგან, რომლებშიც თავს უყრიან ამონაჭრებს გაზეთებიდან.

მხარეთმცოდნეობით კატალოგში მოცემულია მხოლოდ ის ნაწარმოებები, რომლებიც მხარესთან კავშირშია, თუმცა საცნობარო მუშაობის დროს ხშირად არ კმარა კატალოგების გამოყენება, რადგანაც მკითხველები ხშირად მიმართავენ ჟურნალებსა და გაზეთებს, რომელთა რიცხვი ყოველწლიურად საგრძობლად მატულობს და მათში მნიშვნელოვანი მასალა ქვეყნდება. პერიოდიკა ყოველთვის ერთ-ერთი წყაროა ცნობებისა ამა თუ იმ საკითხებზე და ხშირად ერთადერთიც. ამიტომაც აუცილებელია აღრიცხვა პერიოდულ გამოცემებში დაბეჭდილი მასალისა, რომელიც კარტოთეკებში პოულობს ასახვას.

ამრიგად, ბიბლიოგრაფიული კარტოთეკები საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატის მნიშვნელოვანი ნაწილია, მასში გახსნილია ჟურნალებისა და გაზეთების, გრძელდებადი გამოცემებისა და კრებულების შინაარსი. იგი არსებითი დამატებაა ბიბლიოთეკის კატალოგებისა და ბეჭდური ბიბლიოგრაფიული სახელმძღვანელოების. მისი შედგენა ბიბლიოგრაფის უშუალო მოვალეობაა.

საჯარო ბიბლიოთეკის მხარეთმცოდნეობით კატალოგში და კარტოთეკაში გათვალისწინებულია არამარტო ნიგნები, პერიოდული თუ გრძელდებადი გამოცემები, არამედ ადგილობრივი ბეჭდური პროდუქციის სხვა სახეობებიც - კარტოგრაფიული მასალები, ნოტები და ბეჭდური გრაფიკა, ასევე გამოცემები, რომლებიც ადგილობრივი ორგანიზაცია-დანესებულების მიერ არის გამოქვეყნებული (აფიშები, განცხადებები, ინსტრუქციები და მეთოდური წერილები, პროგრამები, პლაკატები, ხელნაწერებისა და გამოგონებების აღწერა და ა. შ.).

მასალები კატალოგებსა და კარტოთეკებში ჯგუფდება ბეჭდური პროდუქციის სახეობების მიხედვით (გაზეთები, ჟურნალები, გრძელდებადი

გამოცემები, ნიგნები, რუკები, ბეჭდური გრაფიკა, ელექტრონული რესურსები და ა. შ.) თითოეული ჯგუფის შიგნით გამოიყოფა მასალები პერიოდების მიხედვით. პერიოდული და გრძელდებადი გამოცემების აღწერის ბარათები განლაგებულია მათი დასახელების მიხედვით, ხოლო ნიგნები და სხვა ცალკეული გამოცემები - ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ნიგნებისა და პერიოდული გამოცემების აღწერილობები აღჭურვილია მოკლე ანოტაციებით. ანოტაციებში აღინიშნება მათი მხარესთან კავშირი, ხასიათდება სარედაქციო-საგამომცემლო და პოლიგრაფიული გაფორმების თავისებურებანი, საცნობარო აპარატი (შესავალი სტატიები, კომენტარები, ილუსტრაციები, დანართები და სხვა).

ადგილობრივი გამოცემების კატალოგები და კარტოთეკები საჯარო ბიბლიოთეკებში არამარტო ფართოდ გამოიყენება მხარეთმცოდნეობით მუშაობაში, არამედ წარმოადგენს ფასეულ წყაროებს მასალების გამოსავლენად.

საქართველოს შესახებ მასალების მდიდარი საცნობარო აპარატი გააჩნია საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას, აქ 1934 წელს შეიქმნა მხარეთმცოდნეობითი კაბინეტი, რომელიც შემდგომ ქართველოლოგიის განყოფილებად ჩამოყალიბდა. განყოფილების ფონდი დაკომპლექტებულია ლიტერატურით, რომელიც შეეხება არა მარტო საქართველოს, არამედ მეზობელ ქვეყნებსაც - სომხეთს და აზერბაიჯანს, ხოლო ნაწილობრივ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებს. აქ დაცული ბევრი ნიგნი წარმოადგენს იშვიათობას. მათ შორის აღსანიშნავია გუსტავ რადეს შრომები კავკასიის სხვადასხვა მხარისა და საქართველოს შესახებ.

ქართველოლოგიის ფონდში დაცულია ასევე გამოჩენილი რუსი აღმოსავლეთმცოდნეების შრომები, რომელთაც სერიოზული წვლილი შეიტანეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის, ენისა და კულტურის შესწავლაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია გ. ს. ლებედევის, ვ. პ. ვასილევის, ი. პ. მინაევის, ვ. ვ. ბერტელსის და სხვათა შრომები.

განყოფილება მდიდარია პერიოდული გამოცემების ფონდით, რომელშიც შედის საქართველოში გამოცემული ქართული, რუსული და სომხური პერიოდიკა. ფონდზე შედგენილია ორი სახის კატალოგი: ანბანური და სისტემატური. მასალა აქ განლაგებულია უნივერსალური ათწილადი კლასიფიკაციის მიხედვით. აქ არის ასევე მთელი რიგი დამხმარე კატალოგები, მათ შორის ცალკეული რევიონების შესახებ არსებული მასალების კატალოგი. აქ მასალა ცალკეული კუთხეების და ქალაქების მიხედვითაა დალაგებული. სასურველია, რაიონების ცენტრალურმა ბიბლიოთეკებმა თავისი მხარის შესახებ აქ შეგროვილი და აღწერილი მასალები გადაიღონ, ამ

საქმეში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დანერგვას საჯარო ბიბლიოთეკებში, რაც დაჩქარებულად უნდა განხორციელდეს, რათა უფრო მეტი ინფორმაცია მიანოდონ მკითხველს.

განყოფილებაში ასევე აწარმოებენ საცნობარო ბიბლიოგრაფიულ მუშაობას, რომელიც ეხმარება მკითხველს მასალის შერჩევაში და აძლევს როგორც ზეპირ, ისე წერილობით ცნობებს. განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ქართველოლოგებთან. მათი საშუალებით ბიბლიოთეკას მიღებული აქვს საინტერესო გამოცემები: დევიდ ლანგის „ქართველნი“, „ექვთიმე ქართველი და ვარლამ იოღარიკი“ და სხვა. ამ განყოფილებამ საფუძველი ჩაუყარა ქართული პერიოდული გამოცემების ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიას და გამოსცა „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ სამ ტომად, რომელიც მოიცავს პერიოდს 1854 წლიდან 1906 წლამდე და „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“ ექვს ტომი რვა წიგნად.

ეს განყოფილება გამოსცემს ბიბლიოგრაფიულ საძიებელს „საქართველო“, დღეისათვის გამოცემულია 8 ნაკვეთი. ამ განყოფილების ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა შეაგროვოს, ფართოდ წარმოაჩინოს საქართველოს შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია. საძიებელში მასალა ანოტირებულია, რაც მკითხველს დასახელებული ლიტერატურის შინაარსისა და ძირითადი მონაცემების გაცნობის სა-

შუალებას აძლევს. ამ საძიებელს ერთვის პირთა ანაბანური საძიებელი და აღწერილი ჟურნალების სია.

საჯარო ბიბლიოთეკების მხარეთმცოდნეობითი საქმიანობა თანამედროვე ეტაპზე გარკვეულწილად უკავშირდება კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვას, კომპიუტერული ტექნოლოგიების დანერგვა მნიშვნელოვნად აადვილებს მხარეთმცოდნეობით მუშაობას. მიუხედავად ამისა, მხარეთმცოდნეობის მონაცემთა ბაზის შექმნის პროცესი ფერხდება საჯარო ბიბლიოთეკებში სხვადასხვა ობიექტური სიძნელეებით. მხარეთმცოდნეობის მონაცემთა ბაზის შექმნა დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან ბიბლიოთეკის უმრავლესობას არ აქვს ტექნიკური შესაძლებლობა, არასაკმარისია კვალიფიციური კადრები და ა. შ.

პერსპექტივაში ახალი ტექნოლოგიების დანერგვა და გამოყენება საგრძნობლად გააფართოებს მხარეთმცოდნეობითი მასალების შეკრების, დაცვისა და მოპოვების, ბიბლიოგრაფიული ევრისტიკის საქმიანობას, ეს საშუალებას მისცემს რეგიონის ბიბლიოთეკებს ეროვნულ ბიბლიოთეკებთან ინტეგრაციით გააღრმავონ და უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ მხარეთმცოდნეობითი მუშაობა.

ლიტერატურა:

1. ქსე. - ტ. I-II. - თბ., 1975-1987.
2. ქართველოლოგია // ქსე. - ტ. 10. - გვ. 464
3. გეორგიკა // ქსე. - ტ. 3. - გვ. 87.

გუგულის ჯინჯარაძე

საცნობარო ლიტერატურის სისტემატიზაციის საკითხისათვის

(კონსულტაცია)

ცნობილია, რომ წიგნადი ფონდების სისტემატიზაცია შემოქმედებითი პროცესია; ფონდების სისტემატიზაციის დროს ჩვენ საშუალება გვაქვს გავხსნათ წიგნის შინაარსი, წინა პლანზე წამოვწიოთ მისი მხატვრულ-მეცნიერული ღირებულება და ამ მხრივ იგი ხელმისაწვდომი გავხადოთ მკითხველისათვის.

ამჟამად მიზნად ვისახავთ, ვისაუბროთ საცნობარო ლიტერატურის სისტემატიზაციის ზოგიერთ საკითხზე, იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომლებიც უფრო ეფექტურად მიგვაჩნია მკითხველთა მოთხოვნის სწრაფად დაკმაყოფილების თვალსაზრისით. შევეხებით ცნობარების, ენციკლოპედიებისა და ლექსიკონების სისტემატი-

ზაციის საკითხებს; დასახელებული გამოცემები 0 განყოფილებას ეკუთვნის, რომელიც საერთო ანუ ზოგადი განყოფილებაა, მოიცავს მეცნიერების ყველა დარგს, მაგრამ არ აკონკრეტებს არცერთს, 00 - მეცნიერებისა და კულტურის ზოგადი საკითხებია, 01 - ბიბლიოგრაფია, კატალოგები, ლიტერატურის მაჩვენებლები, 02 - საბიბლიოთეკო საქმე, ბიბლიოთეკათმცოდნეობა, 03 - საცნობარო გამოცემებია და ა.შ. 03-დან გამომდინარე, 030 ცნობარებია, 031 - ენციკლოპედიები, 038 ლექსიკონები.

იმ შემთხვევაში, როდესაც ხელთ გვაქვს რომელიმე ცნობარი, რომელიც ზოგადად მოიცავს სხვადასხვა დარგს, მიენიჭება ზოგადი ინდექსი

030, იმ შემთხვევაში, როდესაც ცნობარი მეცნიერების რომელიმე ერთ დარგს მოიცავს, მაგალითად, არის გეოგრაფიული ცნობარი, მივანიჭებთ ჯერ 030-ს და შემდეგ დარგს, რომ იგი არის გეოგრაფიული ცნობარი. ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს 030(91); თუ ბიზნესცნობარია 030(334) და ა.შ. პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, სწორად არ მივიჩნევთ, რომ ცნობარს დარგის აღმნიშვნელი წინ დაენეროს, შემდეგ კი ის, რომ წიგნი ცნობარია, ვინაიდან მკითხველი პირველყოვლისა მოითხოვს ცნობარს, მხოლოდ შემდეგ აკონკრეტებს, რომ მას სჭირდება გეოგრაფიული ცნობარი, ბიზნესის ცნობარი და ა.შ. ყოველივე ეს აისახება თაროს გამყოფებზე და საკატალოგო გამყოფებზეც. აღნიშნული მეთოდით ყველა ცნობარი ერთად მოიყრის თავს 03 განყოფილებაში და არ გაიწყობა სხვადასხვა ადგილზე, საცნობარო ლიტერატურა უნდა ჩაირთოს მხოლოდ 03 განყოფილებაში და არა აქვს მნიშვნელობა, ის დარგობრივია თუ ზოგადი. აქვე უნდა დავძინოთ, რომ ფონდის ორგანიზაციის წესების დაცვა აუცილებელი წინაპირობაა მკითხველთა სწრაფად მომსახურებისათვის.

ასევე შეიძლება ითქვას ენციკლოპედიების სისტემატიზაციისა და ორგანიზაციის შესახებ. ენციკლოპედიის ძირითადი ინდექსი 031 არის. იმ შემთხვევაში, როდესაც ენციკლოპედია ზოგადად მოიცავს მეცნიერების სხვადასხვა დარგს, მაშინ დაენერება 031, თუ ენციკლოპედია მხოლოდ ერთ რომელიმე დარგს მოიცავს, მაშინ ისე, როგორც ცნობარების სისტემატიზაციის დროს აღვნიშნეთ, მარჯვნივ მიენერება დარგის აღმნიშვნელი ინდექსი. მაგალითად, სამედიცინო ენციკლოპედიის ინ-

დექსი ასეთ სახეს მიიღებს: 031(61), გეოგრაფიის ენციკლოპედია - 031(91) და ა.შ., რაც საშუალებას იძლევა, თაროზე და სისტემატურ კატალოგში ენციკლოპედიებმა ერთად მოიყაროს თავი 031 განყოფილებაში. აქვე გვინდა აღვნიშნოთ ლექსიკონების შესახებაც. ლექსიკონებს, პირველყოვლისა, დაენიშნება 038 ინდექსი, რაც გვამცნობს, რომ ის ლექსიკონია; შემდეგ მარჯვნივ მივანიშნებთ, თუ რა სახის ლექსიკონია ის, მაგალითად, ქართულ-რუსული ლექსიკონის ინდექსი ასეთ სახეს მიიღებს: 038(353.1)=(861.1); ფილოსოფიური ლექსიკონი - 038(1); მენეჯმენტის ლექსიკონი - 038(65:01), არცერთ შემთხვევაში ლექსიკონი არ განეკუთვნება ენათმეცნიერების განყოფილებას.

ენობრივი ლექსიკონების სისტემატიზაცია ენათა რაოდენობის მიხედვით იმგვარადვე ხდება, როგორც ორენოვანი ლექსიკონების სისტემატიზაციის დროს - ემატება მხოლოდ შემდეგი ენების ინდექსები. საერთოდ, მკითხველის მოთხოვნა პრაქტიკული გამოცდილებიდან ცნობილია, რომ უმეტესად მკითხველთა მოთხოვნები დაკავშირებულია ქართული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ორენოვან ლექსიკონებთან. ყველა ის საკითხი, რაც საცნობარო ლიტერატურის სისტემატიზაციას და მის ორგანიზაციას ეხება, იმდენად პრაქტიკულია, რომ მისი ღრმად შესწავლა შესაბამისი პრაქტიკის გარეშე ძალიან რთულია. ამდენად, აღნიშნულ საკითხებზე კონსულტაცია სასურველია უშუალოდ თაროსთან და კატალოგების ორგანიზაციის დროს ხდებოდეს.

სტატია იჭედება დისკუსიის სახით

გვესაუბრება პროფესიონალი

გულნარა სტურუა

ქვეყნის მიზანი ბიბლიოთეკის გათანაბრებლობა უნდა იყოს

ამ რამდენიმე დღის წინ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველ საზოგადოებას გულწრფელად გავუზიარე ჩემი გულისტკივილი საბიბლიოთეკო დარგის საჭირობოროტო საკითხებზე. არ ვიცი, მიაქცია თუ არა ვინმემ ამ წერილს ყურადღება და გამოიწვია თუ არა მათში რაიმე რეაქცია, რისი იმედიც ნაკლებად მაქვს, მაგრამ, ჩემო ძვირფასო კოლეგებო, მე მაინც მინდა


თქვენც შეგახსენოთ ჩვენი დარგის პრობლემები და გითხრათ, რომ თუ კარგად დავუკვირდებით, ეგრეთ წოდებული ოპტიმიზაციის გარდა, სახელმწიფოსაგან მაინც და მაინც, არ იგრძნობა ბიბლიოთეკებისადმი ყურადღება. არც ერთ სახელმწიფოებრივ აქტში თუ ოქმში, კულტურისა და განათლების საკითხებზე შედგენილ დოკუმენტში, ვერ ამოვიკითხავთ მთავრობის ხედვას

და დამოკიდებულებას ბიბლიოთეკების როლსა და მნიშვნელობაზე. არსად არ არის საუბარი ბიბლიოთეკების ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განვითარების აუცილებლობაზე, თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვაზე, ახალი საბიბლიოთეკო შენობებისა და სათავსოების მშენებლობაზე ხომ ოცნება თუ შეიძლება მხოლოდ!.. არადა, ბიბლიოთეკების ფონდებს, როგორც სამამულო და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს, მოვლა, დაცვა, ყურადღება და გამდიდრება სჭირდება. მომსახურე პერსონალს - ღირსეული ხელფასით უზრუნველყოფა.

მგონი ათეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოში საბიბლიოთეკო შენობა არ აგებულა. ახალი თანამედროვე ბიბლიოთეკა არ გახსნილა. პირიქით, სხვადასხვა რეგიონებში (დედაქალაქშიც კი!) ბევრი ბიბლიოთეკა დაიხურა, შენობა კი სულ სხვა მიზნისათვის გამოიყენეს. ქალაქის ხელმძღვანელობას ასეთი ვითარება სავსებით ნორმალურად მიაჩნია და თამამად აცხადებს, რომ ყოველ სადარბაზოსთან ბიბლიოთეკა არ არის საჭიროო. ეს სავსებით შეუფერებელი გამოთქმა იქეთ იყოს და ყოველ სადარბაზოსთან ბიბლიოთეკა არც არასოდეს ყოფილა და არც არის საჭირო. მაგრამ თუ წიგნი ადამიანის სულის საკვებია, თუ ეს საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა, მაშინ ერთ გრძელ ქუჩაზე, სადაც რამდენიმე (მგონი უთვალავი!) „სუპერმარკეტი“ და პურის მაღაზიაა, მაშინ იქ, იმ არემარეზე, ადამიანის სულის მკვებავი ერთი ბიბლიოთეკაც რომ იყოს, ამით არაფერი დაშავდება, პირიქით, ხალხიც მოიგებს და ქვეყანაც.

საინტერესოა, როგორ უნდა მივალწიოთ წინ მიმავალი საზოგადოების მომსახურებას ინფორმაციულ სფეროში, როგორ უნდა შემოვებრუნოთ დღესდღეობით პირმიბრუნებული ინტერესი კითხვისადმი, ქართული ენისადმი, ჩვენი და მსოფლიო ისტორიისა და კულტურისადმი? ეს არც თუ ისე ადვილი საქმე აუცილებლად გასაკეთებელია, სხვაგვარად ვერ ვიქნებით დემოკრატიის განვითარების გზაზე მიმავალი ქვეყანა. ქვეყანა, რომელიც სხვა მონინავე ქვეყნების მსგავსად, აპირებს ინტეგრაციას მსოფლიო

კულტურაში და, რაც მთავარია, თავისთავადობის შენარჩუნებით! აი ეს არის სწორედ ურთულესი საქმე. სავალალოდ, საქართველოს შინაური თუ გარეშე „კეთილისმყოფელი“ ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა ქართველ ერს თავისი თვითმყოფადური პროფილი შეუცვალონ და რაც შეიძლება მალე ჩამოგვრეცხონ სხვათაგან გამორჩეული კულტურისა და ტრადიციების დღემდე შემონახული ელფერი, რის გამოც სულ მალე შეიძლება დაგვეკარგოს ევროპული მიმართულების, მაგრამ მაინც მკვეთრად გამოხატული ჩვენეული გზა განვითარებისა და სხვის სამოსში უგერგი-



ლოდ გამოწყობილ ობივაცელს დავემგვანოთ., ათეულ წელზე მეტია, რაც ასეთი ტენდენციები საგრძნობია ჩვენს სოციალურ ყოფაში და, გნებავთ, ნებისმიერ სფეროში, სოფლის მეურნეობიდან დაწყებული - დამთავრებული ხელოვნებით. მაგრამ საინტერესოა, ბიბლიოთეკების როლის უგულვებელყოფა რომელი ქვეყნიდან არის ჩვენთან გადმონერგილი?

ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტზე მინდა მკითხველის ყურადღება შევამჩირო. არა მგონია, ნებისმიერი ჩვენთაგანი მტკივნეულად არ განიცდიდეს, ან უკვე ყოფილ ს.ს. ორბელიანის სახ. უნივერსიტეტში, 2006 წლამდე არსებული ფაკულტეტის დაშლას, რის შემდგომაც ალბათ საექვო უნდა იყოს ბიბლიოთეკების უზრუნველყოფა კვალიფიციური პერსონალით, თუმცა, მგონი ასე არ ფიქრობენ ჩვენი დარგის თანამედროვე მესვეურები. სწრაფმა ტექნიკურმა სიახლეებმა,

ციფრული სამყაროს მოქნილობამ თითქოს გააუფასურა ოცი=ოცდაათი წლის წინ ყველა-საგან აღიარებული, წიგნიერებაზე დამყარებული ცოდნა. სულ დაივიწყეს, რომ საბიბლიოთეკო კოლექციებში ჯერჯერობით უზარმაზარი ადგილი წიგნად ფონდს უჭირავს და მისი ორგანიზაციისათვის იმ პრაქტიკულ გამოცდილებასთან ერთად, რომელიც ჩვენმა მეცნიერებმა წიგნებში განათავსეს, ახალი ტექნოლოგიების მოხმარებისა და გამოყენების შესწავლაც არის საჭირო. ამ თვალსაზრისით, უმჯობესი იქნებოდა დარგის გაძლიერება-გამრავალფეროვნება. ძველი და ახალი ცოდნის შერწყმა და განვითარება და არა ამ ორიგინალური საგნის - ბიბლიოთეკათმცოდნეობის ამოძირკვა მეცნიერებიდან. ჰგონიათ, რომ ფილოლოგი-ისტორიკოსები თუ ინფორმატორ-ტექნოლოგები თავისუფლად გაართმევენ თავს საბიბლიოთეკო საქმეს. რასაკვირველია, მონდომებას და მიზანდასახულობას რა არ შეუძლია. მაგრამ რატომ უნდა დავინყოთ თავიდან იმის შექმნა, რაც უკვე შექმნილი იყო?

ასეთ პრობლემებზე საუბრისას კარგად მესმის ბიბლიოთეკის, როგორც მთავარი საინფორმაციო ცენტრის მნიშვნელობა. მაინტერესებს ჩემს ქვეყანაში იყოს საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობით უზრუნველყოფილი ბიბლიოთეკები, რომელთა მუშაობას და მოღვაწეობას საფუძვლად კარგად ორგანიზებული, თანამედროვე პროფესიონალებით დაკომპლექტებულ კადრთან ერთად მომხმარებელთა მოთხოვნები ედოს. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება ბიბლიოთეკის მუშაობის მთავარი რეზულტატი. ბიბლიოთეკებში ჩატარებული სტატისტიკა ჩვენ გვესაჭიროება არა მათი მუშაობის შესამოწმებლად, არამედ იმისათვის, რომ ვიცოდეთ, რა დონეზეა ჩვენი ქვეყნის საზოგადოების წიგნიერება, რა რეზულტატი მოჰყვა მაღალ კითხვადობას, რამდენმა მომხმარებელმა იმუშავა ამა თუ იმ დარგის სამეცნიერო თემაზე, წარმოაჩინა და პრაქტიკაში დანერგა ესა თუ ის ნოვაცია, რამდენმა მიიღო ხარისხი და ლაურეატობა... აი, მაშინ არის ბიბლიოთეკის მუშაობა ნაყოფიერი, მომგებიანი და ქვეყანაც მაშინ არის მოგებული. ეს ყველაფერი პასუხია იმ ფინანსისტებისა და იმ სახელმწიფო ჩინოვნიკების მიმართ, რომლებიც უგულვებელყოფენ ბიბლიოთეკების როლს ქვეყნის ეკონომიკის

განვითარებაში. თითქოს ძნელი მისახვედრი იყოს უნიგნური საზოგადოების (უფრო სწორად, ხალხის) ჩამორჩენილობის მიზეზი უნიგნურობა რომ არის.

ბიბლიოთეკა სოციალური ინსტიტუტია და მისი მოღვაწეობა მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოებასთან. ამიტომაც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებს არსებითი გავლენა აქვს ბიბლიოთეკებზე. გაუმჯობესებულ ეკონომიკურ პირობებს მოაქვს კულტურის აყვავება, კულტურის აყვავებას კი ხელს უწყობს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა, მაგრამ ორივეს საწყისი და საფუძველი წიგნიერებაა!

წიგნიერება, დარგის სრულყოფილი ცოდნა უპ.ყ. მოეთხოვება თვით ბიბლიოთეკარს. ამიტომ კვლავაც ვიტყვი, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს უმაღლეს განათლების სისტემაში ჩართულ ბიბლიოთეკათმცოდნეობის დარგს, რომელსაც შეეძლება მეცნიერული კვლევითი სამუშაოების წარმოებაც და თანამედროვე უმაღლესი კვალიფიკაციის კადრის აღზრდაც. გაუგებარია, რა მიზეზით მოიძულეს ეს უწყინარი და საზოგადოების განვითარებისთვის ერთ-ერთი სასარგებლო და აუცილებელი დარგი.

როდესაც ამ დარგზე ვსაუბრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საბიბლიოთეკო ცოდნა მხოლოდ უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნით არ ამოიწურება. ის არის მუდმივი, გეგმიური პროცესი და არ ნიშნავს შემოზღუდვას მხოლოდ უმაღლესი განათლების მიღებით. ცოდნის ამაღლება სისტემატურია და უნდა ეყრდნობოდეს არა მარტო პასიურ ფორმებს (ლექციებს), არამედ აქტიური ხასიათის პრაქტიკულ სემინარებს, სადაც ცოდნის დამწერგველ პროფესიონალ ბიბმცოდნეებთან და სხვა მონათესავე დარგების სპეციალისტებთან ერთად, ჩაბმული იქნებიან რიგითი ბიბლიოთეკარები და ბიბლიოთეკების ორგანიზატორებიც. ამ მხრივ კარგ წამოწყებად მივიჩნევ საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის მიერ შექმნილ-ჩამოყალიბებულ ბიბლიოთეკართა ცოდნის ამაღლების კურსებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბიბლიოთეკართა ცოდნის ამაღლებას თანამედროვე სიახლეების, ტექნოლოგიებისა და თეორიების გათვალისწინებით.

ბიბლიოთეკარი უნდა ცხოვრობდეს ძიებაში და უნდა შეიცნოს, რომ ხვალინდელი სამუშაოს შესრულება არ შეიძლება გუშინდელი მეთოდით.

„უნყვეტი განათლების“ ცნება უნდა დამკვიდრდეს ჩვენში, რათა გავხდეთ მსოფლიო კულტურის თანამედროვენი. გადავხედოთ ევროპისა და ამერიკის ბიბლიოთეკების მუშაობას, შევადაროთ ჩვენსას, ყურადღება მივაქციოთ მათთან დანერგული მუშაობის პრინციპებს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათგან ბრმად გადავიღოთ დეტალები. ასეთ მიბაძვას და გადაღებას სარგებლის ნაცვლად, როგორც ზემოთ ვთქვით, ხშირ შემთხვევაში ზიანი მოაქვს ჩვენი საბიბლიოთეკო საქმიანობის. უნდა მივიღოთ და შევისწავლოთ ის, რაც შეეფერება და მიესადაგება ქართულ რეალობას. თუმცა პრინციპები მიზანდასახულ, პერსონიფიცირებულ სწავლაზე და უნყვეტ განათლებაზე სწორედ რომ საზღვარგარეთული პრინციპებია და არა მგონია, რომ ჩვენს ქვეყანას ეს არ გამოადგეს. რაც შეეხება იმ სფეროებს, რომელშიდაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება დაგვგროვებია, მასზე დაყრდნობით და საზღვარგარეთული სიახლეების გათვალისწინებით განვაავითაროთ ქართული საბიბლიოთეკო საქმიანობა არა ჩაკეტილ წრეში, არამედ მთელი საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემისთვის, პასუხისმგებლობისა და მოვალეობის დიდი გრძნობით.

დიდი სურვილი მქონდა მესაუბრა ჩვენი ბიბლიოთეკების უღონობაზე, მუშაობის მოძველებულ სტილზე, ან პირიქით, საზღვარგარეთულიდან ბრმად გადმოთარგმნილ ტექსტებითა და ცხრილებით მუშაობაზე. მაგრამ ეს საკითხი კარგად არის შესასწავლი. ვფიქრობ, რომ ასეთ მოვლენებს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია საფუძვლიანად უნდა გაეცნოს, რადგანაც დღეისათვის მხოლოდ ამ არასამთავრობო ორგანიზაციაშია გაერთიანებული სპეციალისტები, საბიბლიოთეკო დარგის ექსპერტები. სასურველია, რომ ერთი და იმავე უწყების ბიბლიოთეკების მუშაობის სტილი და მეთოდი მკაცრად იყოს განსაზღვრული სტანდარტებით, ერთმანეთთან შეთანხმებით, ურთიერთობებისა და კომუნიკაციების გასაადვილებლად და, რაც მთავარია, მომხმარებლისთვის სასარგებლოდ.

საბიბლიოთეკო საქმე მართლაც მოითხოვს ძირეულ გარდაქმნას, რაც რეზულტატზე უნდა იყოს ორიენტირებული. ჩვენი ვალაია, ქვეყანას აღვუზარდოთ ნიჭიერი მომავალი. სიამოვნებით ვუყურებ ნიჭიერ ბავშვთა საკონკურსო ტურებს, სადაც გამარჯვების შემთხვევაში კონკურსანტს ინგლისში აგზავნიან ინგლისური ენის შემსწავ-

ლელ ერთვთან კურსებზე. რა თქმა უნდა, ეს არ არის მთავარი. მთავარია ის, რომ ნიჭიერი ბავშვების კონკურსები იმართება და ჩვენი ბავშვები ამჟღავნებენ სამაგალითო სწრაფვას განათლებისაკენ, ნიჭიერებისაკენ, ცოდნისაკენ. მოსაწონი და მისასალმებელია ამ ტურების წამყვანის პოზიცია, როდესაც ის აქცენტს აკეთებს ბავშვების მხატვრული ლიტერატურის კითხვის უნარიანობაზე და ბიბლიოთეკებთან მათ დამოკიდებულებაზე.

ვფიქრობ, რომ ცისფერ ეკრანზე ხშირად უნდა შეუქედებოდეს საბავშვო ბიბლიოთეკების ბავშვებთან მუშაობის ახალი, საინტერესო ფორმები და მეთოდები, მათ მიერ გამართული კონკურსები და სხვა ნოვაციები. ამ ღონისძიებებში, ადგილობრივ მმართველობასთან ერთად, საზოგადოებამ და საქველმოქმედო ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა. ნაცვლად ამისა, დღეისათვის აშკარად მივიწყებულია საბავშვო ბიბლიოთეკები. მასხოვს, ფალიაშვილის ქუჩაზე მდებარე საბავშვო ბიბლიოთეკა, სადაც თითქმის თვეში ერთხელ იმართებოდა ისეთი ღონისძიებები, რაც იწვევდა მოზარდთა დაინტერესებას. მათ მიზიდვას წიგნიერებისა და ცოდნის სამყაროში. კარგა ხანია, რაც ეს ბიბლიოთეკა არ ფლობს იმ ძველ ფართობს, სადაც მას შეეძლო ნორმალურ ვითარებაში ფუნქციონირება და ჩვენი ცნობისმოყვარე, პატარა მკითხველების სათანადოდ მომსახურება. ფართობის მხრივ ძალიან შეავიწროვეს იმავე ქუჩაზე, იქვე მდებარე მოზრდილთა ბიბლიოთეკაც, რომელიც საკმაოდ მდიდარი ფონდითა და მომსახურებით მომხმარებელთა პატივისცემასა და ავტორიტეტს იმსახურებდა. ამჟამად, სულ მოკლე დროში დაიხურა ქალაქის შვიდი ბიბლიოთეკა... არა მგონია, რომ ბიბლიოთეკებისადმი ასეთი დამოკიდებულება სარგებლის მომტანი იყოს მკითხველთა საზოგადოებისთვის და, საერთოდ, ქვეყნის კულტურის აღორძინებისათვის. ბიბლიოთეკების გამსხვილება მაშინ შეიძლება ჩავთვალოთ ნორმალურ პროცესად, თუ ამისათვის წინასწარ შექმნილია თანამედროვე ბიბლიოთეკისთვის შესაფერი ტექნიკური ბაზა, გამზადებულია შენობა, სადაც შესაძლებელი გახდება გაუქმებული ბიბლიოთეკების კოლექციების (ფონდის) უსაფრთხო დაბინავება, ქვეყნის მიზანი ბიბლიოთეკების დახურვა კი არა, მისი გათანამედროვეობაზე ზრუნვა უნდა იყოს...

იური სიხარულიძე

დიდი მხატვრის სხოვრების ზოგი ასაქები

საქართველომ ბევრი სახელოვანი მხატვარი აღზარდა. მათ შორისაა დიმიტრი შევარდნაძეც (1885-1937).

დაიბადა შუა გურიის სოფელ ბახვში აზნაურული წარმოშობის ინტელიგენტის, ირაკლი შევარდნაძის ოჯახში.

სასკოლო განათლების პირველი გაკვეთილები მშობლიური სოფლის სკოლაში მიიღო, სადაც მისი მამა მასწავლებლობდა.

1905 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. 1907 წელს მიუნჰენის სამხატვრო აკადემიაში გადავიდა და დიდი წარმატებითა დაამთავრა.

უკვე დაოსტატებული მხატვარი 1915 წელს დაბრუნდა სამშობლოში და მჩქეფარე შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღა.

1916 წელს მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ქართველ ხელოვანთა საზოგადოება.

ამას გარდა, მის დაუფინყარ ღვანლთა შორის ბრწყინავს 1920 წელს საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერიის დაფუძნება.

მისივე მეცადინეობით 1922 წელს შეიქმნა თბილისის სამხატვრო აკადემია, ხოლო შემდეგ - საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. არანაკლებ ფასეულია ის საქმიანობაც, რომელიც მან გენიალური ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატების მოპოვებისა და გადარჩენისათვის გასწია.

ის პირადად იცნობდა ფიროსმანს და მისივე მოწვევით ჩვენი ლეგენდარული მხატვარი ერთხელ კიდეც დასწრებია ქართველ მხატვართა იმ შეკრებებს, რომელსაც დიმიტრი შევარდნაძე აწყობდა ხოლმე. (თ. მაღალაშვილის ცნობით, დიმიტრი შევარდნაძემ ბერიას მეტეხის ტაძარი



ავტოპორტრეტი

არ ააფეთქებინა! (გაზ. ასავალ-დასავალი, 3-9 XI. 2008, გვ. 35).

ამ შესანიშნავი ფერმწერისა და საზოგადო მოღვაწის ცხოვრება და შემოქმედება სხვადასხვა დროს მრავალი პროფესიონალს დაუფასებია ღირსეულად. დიდი მხატვარი და მამულიშვილი 1937 წლის რეპრესიებს ემსხვერპლა. იმ დროს 52 წლისაც არ იყო.

შემოთავაზებული ლიტერატურა:
აბესაძე ი., ბავრათიშვილი ქ. დიმიტრი შევარდნაძე. - თბ., 1998.

დიმიტრი შევარდნაძე (ალბომი) - თბ., 2001.
ახალი ქართული შრიფტი მხატვარ შევარდნაძისა. - თბ., 1930.

ბავრათიშვილი ქ. დიმიტრი შევარდნაძე და ნიკო ფიროსმანი. //საბჭოთა ხელოვნება, - 1984, №10.

ლორთქიფანიძე ი. ხელოვანი და მოქალაქე // მნათობი, - 1985, №12.



სხედან (მარცხნიდან) დიმიტრი შევარდნაძის მამიდა ალათი, ბებია (მამიდან) ეკატერინე, ბებია (დედიდან) სალომე, დედა ბარბარე. დგანან: დიმიტრის მამა (ირაკლი), დიმიტრის და (ნინო) და დეიდაშვილი ჰენრიეტა.

ზეინაბ ჟიჟილაშვილი

ღირსეულად განვლილი ცხოვრების გზა

(აკაკი ძიძიგური - 95)

არიან ადამიანები, რომლებსაც თითქოს, როგორც იტყვიან, თაფლი სცხიათ, განსაკუთრებული მიმზიდველობა ახასიათებთ და საერთო სიყვარულსა და სიმპათიას იმსახურებენ, მათი სახელის გაგონებაც თბილსა და სასიამოვნო გრძნობას აღძრავს. ასეთი იყო ბატონი აკაკი ძიძიგური.

კეთილი, თბილი, ყურადღებიანი და უბოროტო კაცი. ადამიანებს ბავშვის თვალთ უყურებდა და არასოდეს არავისში შეეჭვდებოდა, თითქოს დავიწყებოდა, რომ წუთისოფელში ცოდვა და სიცრუეც არსებობს.

მაღლიანი კაცი იყო. შეხვედრისას არც სალამს დაუგვიანებდა ვინმეს, არც ღიმილს. მოხდენილი პიროვნება გახლდათ, დიდი გული ჰქონდა მშობლიური მიწა-წყლის სიყვარულით აღსავსე.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იმოგზაურა, სწორედ იმ დროს, საზღვარგარეთ გასვლა რომ არც ისე ადვილი იყო და ბრუნდებოდა საქარ-

თველოს მონატრებული, მისი მაღლიერებით აღსავსე. დიდა მისი როლი ტელევიზიის, პრესის, კინოსა და კულტურის განვითარების ყველა სფეროში.

ბატონი აკაკი საოცარი ჰარმონიით უთავსებდა შემოქმედებით ნიჭს ორგანიზაციულ შესაძლებლობებსა და ადამიანურ ღირსებებს.

ქართული ხელოვნების მრავალ სფეროში უმოღვანია: თეატრში, რადიოში, ტელევიზიაში, კინემატოგრაფიაში, პრესაში... საბედნიეროდ, ყველგან დიდ აღმავლობას დაემთხვა მისი საქმიანობა. საამაყოდ თუნდაც მარტო ისიც კი ღირს, რომ მის სახელს უკავშირდება უშანგი ჩხეიძის ხმის ჩანაწერების არსებობა და დები იმხნელების სიმღერების პოპულარიზაცია.

მის თვალწინ მთელმა ეპოქამ გაიარა, რომელმაც ცოცხალ მემკვიდრედ გახადა. დიდი სირთულეების მიუხედავად, მან შეძლო მუდამ მაღალი შემოქმედების დამფასებელი ყოფილიყო, ღირსეულად ადამიანთა გვერდით ეცხოვრა და საშუალება ჰქონოდა, უშურველად გაეცა ის, რასაც წლების განმავლობაში აგროვებდა.

ცხოვრების დიდი გზა განვლო და სადაც კი უმოღვანია, ზნეობისა და სულიერების მაღალი დონე უჩვენებია, ეროვნული მრწამსის, კულტურისა და ხელოვნების დაცვის ნამდვილი მაგალითები.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა მის მიერ განეული შრომა ეროვნული ბიბლიოთეკის აღორძინების

სა და განვითარების სექტორში (ბიბლიოთეკაში მისი საქმიანობა 1984 წლიდან დაიწყო).

მისი უშუალო მცდელობით ბიბლიოთეკას შეემატა ყოფილი ფინანსთა სამინისტროს შენობა, სადაც განთავსდა მხარეთმცოდნეობის, იშვიათ გამოცემათა, მუსიკალური, ხელოვნების, მეთოდური, კულტურის, სარეკომენდაციო, ჰიგიენისა და რესტავრაციის განყოფილებები, აგრეთვე ბიბლიოთეკამ მიიღო ახალი საბიბლიოთეკო ტექნიკა - კომპიუტერების, მიკრო-წიგნის საკითხავი აპარატებისა და ქსეროქსების სახით.

საგულისხმო იყო მისი გულისხმიერება თანამშრომელთა დანიშნულების და სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესების საქმეში.

ის იყო ღირსეული გამგრძელებელი და მემკვიდრე: გიორგი გეტმანის, მიხეილ ზანდუკელის, სანდრო ეული-ქურდიძის, ნიკო ჭელიძის, ვალოდია მგალობლიშვილის, პავლე კანდელაკის, ალექსანდრა კავკასიძის საქმიანობის.

სიყვარული და თავმდაბლობა - ეს ის თვისებებია, რომლითაც შემკული იყო ქართული კულტურის და ხელოვნების დიდი მოღვაწის, ბატონ აკაკი ძიძიგურის პიროვნება.

აკაკი ძიძიგური დაიბადა 1914 წლის 13 აგვისტოს სოფელ მათხოჯში (ხონის რაიონი), პედაგოგის, საზოგადო მოღვაწის, საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის ვარლამ ძიძიგურის ოჯახში.

დაწყებითი განათლება ხონის საოსტატო სემინარიაში მიიღო.

1932 წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1937 წელს დაამთავრა ფილოლოგიის სპეციალობით.

თანამშრომლობდა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში.

გარდაიცვალა 1997 წლის 8 აპრილს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

თუ კაცს მთელი შეგნებული სიცოცხლე საქმიანად გაუტარებია, თუ სიმართლით უცხოვრია და თავისი ხალხი ნამდვილი სიყვარულით ჰყვარებია, თუ ავისა და კარგის გარჩევა შესძლებია და ბოლომდე პირნათელ კაცად დარჩენილა, ბედნიერია თუნდაც იმიტომ, რომ მისი ხსოვნა დავიწყებას არ მიეცემა.



იუბილე

ეგნატე ნინოშვილი - 150

მანონი ხორავა

„მოაზა“ ეგნატე ნინოშვილის შემოქმედებისა და გარდაცვალების შესახებ

ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებამ მთელ საქართველოში დიდი მწუხარება გამოიწვია. ამ ფაქტზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა. გულსაკლავი იყო ის, რომ ჯერ სავსებით ახალგაზრდა შემოქმედმა ასე უდროოდ დაასრულა სიცოცხლე უაღრეს სიღატაკესა და სულიერ დეპრესიაში. ამ ამბავს „დროებაც“ გამოეხმაურა, რომელმაც ნეკროლოგი გამოაქვეყნა 1894 წლის მე-5 ნომერში. აი, რას წერდა მაშინ „დროება“:

„ეგნატე თომას ძე ინგოროყვა (ნინოშვილი)“.

„შენც შთახვედ საფლავს გახრწნილებისას, ტანჯულის ქვეყნის ტანჯულო შვილო“, შენც უდროვოდ გამოგასალმა უღმობელმა სიკვდილმა შენს ქვეყანას, რომლისათვისაც შენი შრომა ჯერ კიდევ საჭირო იყო და რომელიც ჯერ კიდევ ბევრ კეთილს ელოდა შენგან...“

აპრილის 29-ს საშინელმა სენმა ერთი მოღვაწე კიდევ გამოგვტაცა ხელიდან, გამოგვტაცა დაუბრუნებლად, საუკუნოდ. ეს იყო - ეგნატე თომას ძე ინგოროყვა (ნინოშვილი), შვილი ლარიბი გლეხის

დედ-მამისა. იგი სწავლობდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში და კარგადაც სწავლობდა, მაგრამ რაღაც არეულობაში მონაწილეობის მიღებისათვის გამოირიცხეს მესამე კლასიდან; თუმცა მასთან ერთად გამორიცხული შეგირდები


ბევრი ისევ მიიღეს, მაგრამ ეგნატე კი, როგორც მოთავე არეულობისა, აღარ მიიღეს. ხელ-მოკლე მამამ თავისი შვილი ვედარ მისცა სხვა სასწავლებელში და პატარა ეგნატეს კი სწავლა სწყუროდა, და აი ამ დღიდან იწყება მისი ბრძოლა სწავლის შესაძენად. რა შრომას არა კისრულობდა, რომ

სახსარი ემოვნა სწავლის გასაგრძელებლად. სოფლის მასწავლებლად გინდა - ის იყო, დღიურ მუშად ბათუმში გინდა - ის იყო, ფილოქსერიის პარტიაში გინდა - ის იყო, სამზღვარ გარეთ გინდა - ის წავიდა სწავლის შესაძენად, მაგრამ სამი თვის უკან ხელ-მოკლეობის გამო უკანვე დაბრუნდა და იმ სამ თვესაც დღიური მუშაობით ირჩენდა თავს. სამზღვარ გარეთიდან რომ დაბრუნდა, თ. გრ. გურიელთან დაბინავდა მცირე ხანს და მისი მდიდარი ბიბლიოთეკა სულ გადაიკითხა. დიდ ხანს კი არც ერთს ადგილზე არ დარჩენილა, რადგანაც იგი იმდენად აფასებდა ყოველ ადგილს, რამდენადაც ეს ადგილი ხელს უწყობდა სწავლის შესაძენად. დაინახავდა თუ არა, რომ

სწავლისათვის დრო აღარა რჩებოდა, სამსახურს მაშინვე თავს დაანებებდა ხოლმე; არც კი ჯანი მოსდევდა იმდენი, რომ დიდი ჯაფა და მუშაობა აეტანა.

ერთის სიტყვით, ეგნატესთვის წუთისოფელი აღელვებული ზღვა იყო, როომელშიაც მედგრად





დააქანებდა ნავს და ებრძოდა ბედს, რომ სწავლის ნავთ-საყუდელს მისდგომოდა, მაგრამ ამაოდ; ასეთი ნავთ საყუდელი მან ვერსად ჰპოვა და ამ ბრძოლით კი საშინელი სენი - ჭლეტი შეიძინა; ამ სენმაც მოულო ბოლო. დიად, ვერ ჰპოვა ასეთი ნავთ-სადგური, მაგრამ ნაცვლად ამისა თავის სოფელს ჩოჩხათში ჰპოვა საუკუნო განსასვენებელი ნავთ-სადგური, სადაც ვერც სოფლის ღელვანი და ვერც მისი ჟღერანი ველარაფერს დააკლებენ.

მწერლობა დაიწყო 1889 წელს, როდესაც ნ. ლოლობერიძის ქვა-გუნდის კანტორაში იმყოფებოდა და პირველი მისი მოთხრობა იყო „გოგია უიშვილი“. ამ მოთხრობას ზედ მოჰყვა დანარჩენებიც: „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „სიმონა“, „არმიყნი“ (1891), „კაცია და გუნება“, „ქრისტიანი“ (1892 წ.), „განკარგულება“ (1893 წ.), „მოსე მწერალი“ და „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ (1894).

მიცვალებული 8 მაისს დაასაფლავეს და დიდძალი ხალხი დაესწრო. ტფილისიდანაც წავიდნენ მისი ნიჭის პატივის-მცემელნი და გვირგვინებით შეამკეს უბედური ეგნატეს კუბო. გვირგვინთა რიცხვი სულ 30 იყო. მის საფლავზედ არა ერთი გრძობით სავსე სიტყვა წარმოითქვა, არა ერთმა და ორმა მისი ნიჭის პატივის-მცემელმა დააყარა მღულარე ცრემლი“.

იმავე წლის მე-10 ნომერში „მოამბე“ სტატიაში „სალიტერატურო შენიშვნები“ ვრცლად ეხება საკითხს ე. ნინოშვილისა და მესამე დასელების ურთიერთობაზე და კრიტიკულად აფასებს გ. წერეთლისა და ჯიბლაძის გამოსვლებს, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ე. ნინოშვილი კაპიტალისტურ საზოგადოებას ასახავს თავის ნაწარმოებებში. ავტორის აზრით, ჩვენში კაპიტალისტური წესწყობილების არავითარი გამოვლენა არ არსებობს და არც ე. ნინოშვილის ნაწარმოებები ეხება კაპიტალისტურ რეალიებს. „... თუ თავის ნაწერებში ჩვენი ცხოვრების ნამდვილს სურათებს გვიხატავდა, ამის მიზეზი თვით მწერლის ნიჭია და ის გარემოებაც, რომ მწერალს ნიჭი ნებას არ აძლევდა რეალურს ნიადაგს ასცილებოდა“.

კრიტიკული წერილის ავტორი უბრალო ხალხისათვის სავსებით გასაგებ ენაზე აღნიშნავს, თუ რატომ არ შეიძლება ჩვენი ყოფა კაპიტალისტურ საზოგადოებად იქნეს მიჩნეული: „განა კაპიტალისტური წეს-წყობილებაა იქ, საცა ბუნების სიმდიდრე დედა-მინის გულში ხელ-უხლებელი ძევეს იმიტომ, რომ საკუთარი კაპიტალები არა გვაქვს, დედა-მინას რომ გული გავახსნევინოთ და უცხოელებს შევცქერით ხელში?!“

„მოამბე“ მომდევნო წელსაც არ ივიწყებს ე. ნინოშვილს. მე-5 ნომერში „ბიბლიოგრაფიის“ რუბრიკის ქვეშ იხილავს „კვალის“ გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ პატარა ნიგნს ეგნატე ნინოშვილის „ორი მოთხრობისა“.* ავტორი (ფსევდ.

სტ.) დასაწყისში მალალ შეფასებას აძლევს ე. ნინოშვილის შემოქმედებას, მწერლის ნიჭსა და უნარს: „შარშან გარდაცვალა ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა ბელეტრისტი ეგ. ნინოშვილი და მაშინვე ერთმა მისის ნიჭის პატივისმცემელმა განიზრახა შემოკრება ბელეტრისტის ყველა ნაწერისა და ცალკე ნიგნად დაბეჭდვა... ამ განზრახვის განხორციელება ფრიად სასურველი, სასარგებლო და სწორედ კეთილი საქმე იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ განზრახვას არ ეღირსა საქმედ გადაქცევა“.

ავტორი სინანულით აღნიშნავს, „რომ დღეს იმისთანა ნიჭიერის მწერლის ნაწერები ერთად დაბეჭდილი არა გვაქვს“, სანაცვლოდ დაისტამბა პატარა ნიგნაკი, რომელშიც დაბეჭდილია მხოლოდ ორი პანანინა მოთხრობა: „განკარგულება“ და „მონადირე“, ავტორი საყვედურობს კიდევ გამომცემელს, რომ მან უფრო მნიშვნელოვანი ნაწარმოები ვერ შეარჩია, იმასაც უსაყვედურობს, რომ შეიძლებოდა „ალაგ-ალაგ ცოტა გაეშალაშინებინა“ ტექსტი დაშვებული გრამატიკული შეცდომებისგან. კრიტიკულ წერილში მოცემულია რამდენიმე მაგალითი ამ შეცდომებისა, რომელთა გასწორება დიდ შრომას არ მოითხოვდა.

ამის შემდეგ კრიტიკული წერილის ავტორი ეხება განსვენებული მწერლის ბიოგრაფიას; მისი თქმით, ის „ურიგოდ არ არის შედგენილი“.

„ამ ბიოგრაფიაში აღწერილია, რომ ღარიბ-ლატაკის დედა-მამის შვილი, ერთის სანყალის გლებ-კაცის ბიჭი ათას ჭირსა და ვაგლახშია, მაგრამ მაინც ეტანება ნიგნს, სწავლას და, თუმცა მრავალი დაბრკოლება ელობება წინ, მაინც არ ჰკარგავს იმედს, ებრძვის გარემოებას, ისწრაფის ნათლისაკენ და ბოლოს იმდენად ვითარდება, რომ უკვე „მარილია ამ ქვეყნისა“; ნიჭი მისი ჰნათობს ახლა ბრწყინვალედ და აშუქებს, ათბობს თვისის ნამოქმედართ ტანჯულთა და ბნელში მყოფთა. ბიოგრაფიდანვე სჩანს, რა ადვილად შეიძლება თვით უნიჭიერესი ყმანვილი შთანთქას სიბნელემ, სიღარიბე-სიღატაკემ, ათასმა ჩვენმა მოუწყლობლობამა და ურიგობამ, ჩვენმა დაუდევრობამ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელების საქმეში. ვინც ამ ბიოგრაფიას ნაიკითხავს, დარწმუნდება, რომ ყველას წმინდა და სამღვთო მოვალეობაა, ეცადოს სოფლად განათლების სხივი მოჰფინოს, ცოდნა გაავრცელოს, რადგან უამისოდ მრავლისაგან მრავალნი ნიჭიერნი, ობოლნი მარგალიტნი, როგორც ზღვის ძირას, ისე დამარხულნი ერის გულის სიღრმეში, შესაძლოა, სამუდამოდ დაეკარგოს ქვეყანას. მაღლობა ღმერთს, რომ ნინოშვილი მაინც და მაინც ვერ დაჰლუპა უმეცრებამ, სოფლის წყვდიადმა და იმდენი იბრძოლა, ბოლოს მაინც თავისი გაიტანა, თვის ნიჭს მოუარა, გაიფურჩქნა, თვით სახელი მოიხვეჭა და ჩვენს

მწერლობას, ჩვენს ერსა და ქვეყანას აჩუქა ისეთი ნაწარები სიტყვა-კაზმულის მწერლობისა, როგორც არის: „ქრისტიანი“, „სიმონა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვა...

მადლობელი უნდა ვიყვნეთ ბიოგრაფიის ავტორისა. ამ ბიოგრაფიით ცოტად მაინც გაგვაცნო ის გარემოებანი, რომელთა შორისაც აღიზარდა და მწერლობდა ჩვენი დაუვინყარი ეგ. ნინოშვილი. როცა უფრო მრავლად მოგროვდება საბიოგრაფიო მასალა, მაშინ, იმედია, დაინერება უფრო

ვრცელი ბიოგრაფია, რომელსაც მცირედი მნიშვნელობა არ ექმნება ჩვენის მკითხველის საზოგადოებისათვის“.

ავტორის იმედი გამართლდა - დღეს ჩვენ შესანიშნავი გამოკვლევები გვაქვს ნინოშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

* *ორი მოთხრობა ეგ. ნინოშვილისა (ინგოროყვასი), ავტორის სურათით და მისი ბიოგრაფია, შედგენილი გ. ნერეთლის მიერ, ტფილისი, 1895 წ.*

თ. იოსავა

უბრალო ხალხის ყოფა-ცხოვრების მემკვიდრე

„ნამდვილი ბელეტრისტი — სალიტერატურო ყანაში მომუშავე“ - ასე ახასიათებდა ეგნატე ნინოშვილს იაკობ გოგებაშვილი მე-19 საუკუნის 80-90-იან წლებში, როდესაც ქართულ პერიოდულ გამოცემებში გამოჩნდა მწერლის პირველი მოთხრობები. რეალური ცხოვრება, ღარიბთა და უნგემოთა ყოფა-ცხოვრების სურათები ეგნატე ნინოშვილმა დახატა მაღალი მხატვრული გემოვნებითა და ბელეტრისტიკისათვის დამახასიათებელი მანერით.

ეგნატე ნინოშვილის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დრო აღსავსე იყო საქართველოში სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი შეხედულებების მკვეთრი ცვლილებებით. ამ პერიოდის ქართული მწერლობის ერთი ნაკადი აგრძელებდა 60-იანელთა შეხედულებებს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თაობაზე. ეგნატე ნინოშვილმა საკუთარი ცხოვრების მაგალითზე გამოსცადა ჩაგრულთა უმწიკო მდგომარეობა და თანაგრძნობის პათოსით შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებებში შეეცადა ეჩვენებინა გაბატონებულ იდეოლოგიასთან და ძალებთან ბრძოლის გზა, „მისი მოთხრობები: „გოგია უიშვილი“, „უცნაური სენი“, „პალიასტომის ტბა“, „არშიყნი“ და სხვ. 1891 წლიდან სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“.

1892 წელს გაზეთმა „ივერია“ პირველად გამოაქვეყნა მისი მოთხრობა „სიმონა“, რომელმაც თავისი მძაფრი სიუჟეტითა და სინამდვილის გაბედული ასახვით სულ მალე მიიქცია მკითხველის ყურადღება. „სიმონა“ იმავე 1892 წელს ცალკე წიგნად გამოსცა კ. თავართქილაძემ ოზურგეთში. ამავე პერიოდს ეკუთვნის ე. ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტიანი“, რომელიც მომდევნო წლებში პიესად გადაკეთდა და დიდხანს იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ხალხისათვის სამსახურისა და თავისუფლების იდეალებისათვის ბრძოლის შესანიშნავი სურათი დახატა ეგნატე ნინოშვილმა

მოთხრობაში „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ - 1894 წელს გამოაქვეყნა „კვალში“, ხოლო ცალკე წიგნად გამოიცა 1896 წელს, მისი მოთხრობები: „სიმონა“, „პალიასტომის ტბა“, „ჩვენი ქვეყნის რაინდი“ და სხვები ნათლად ასახავენ გურული გლეხებისა და ინტელიგენციის ყოფას. ამასთან, მხატვრული სტილითა და ცალკეული სურათების აღწერით მწერალი მარადიული ჭეშმარიტების მლალადებელია: ბოროტებას სძლევს სიკეთე, თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება არ უნდა განელდეს ქართველი კაცის გულში, ეგნატე ნინოშვილის პირადი ცხოვრება ისე წარმართა, რომ მას საგანგებოდ არც ეცალა წმინდა ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ეგნატე, როგორც ყოველდღიური ლუკმის მაძიებელი, მუშაობას იწყებს რკინიგზაზე ოზურგეთში, ცოტა ხანს იმუშავა თბილისშიც ერთ-ერთ სტამბაში. ასეთი ხელმოკლეობის პირობებში ეგნატეს აუხდენელი დარჩა ოცნება - მიეღო კლასიკური განათლება. მართალია, იგი 1886 წელს საფრანგეთში გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად, მაგრამ უსახსრობის გამო მალევე უკან დაბრუნდა. 1886 წელს ეგნატე ნინოშვილმა მუშაობა დაიწყო თავად გრიგოლ გურიელთან მდივნად, მაგრამ მყუდრო ცხოვრებას მიუჩვეველმა, მალევე მიატოვა ჩინოვნიკური სამსახური და სამუშაოდ გადავიდა ქ. ბათუმში, სადაც ცოტა ხანს იმუშავა ნავსადგურში და როტმილდის ქარხანაში, ფიზიკურად სუსტი მწერალი ეწეოდა ინტენსიურ ინტელექტუალურ და ფიზიკურ შრომას, რამაც მალე გატეხა მისი ჯანმრთელობა.

ეგნატე ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობა შემოიფარგლება სულ შვიდიოდე წლით (1887-1894), ამ მოკლე პერიოდში მგზნებარე მამულიშვილმა და სამოქალაქო სულისკვეთებით აღზრდილმა მწერალმა შექმნა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშები, რომლებმაც სამართლიანად

დაიმკვიდრეს ადგილი ქართული ლიტერატურის თხუთმეტსაუკუნოვან ისტორიაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მისი რომანი „ჯანყი გურიაში“ ეფუძნება ნამდვილ მოვლენებსა და გარემოებებს, რამაც განაპირობა რომანის ცალკეული ეპიზოდების მხატვრული სტილი და ობიექტურობასთან მიახლოებული სურათების ცხოველყოფილობა.

ეგნატე ნინოშვილის პროზამ იმთავითვე მიიქცია ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების ყურადღება, ხოლო ქართველმა მკითხველმა იგი გულითადად შეიყვარა, როგორც ჩაგრულთა დიდი მოსარჩლე მწერალი. გაეცნო რა „ქრისტინეს“, გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „როდესაც ნინოშვილი ქალაქში ჩამოვიდა, იგი ხედავდა, თუ როგორ მიდიოდა ქრისტინე ქუჩაში, ხედავდა მის ლამაზ სახეს, რომელსაც უფარავდა დაკერებული, ფერგამოცვლილი ტანისამოსი. მწერალი აძლევს სიცოცხლეს იმ ქალს, რომლის მსგავსი არც მანამდე და არც შემდეგ ქართულ მწერლობაში არ შემხვედრია“. გიორგი წერეთლის აზრით, „ეგნატე ნინოშვილმა დაბეჩავებული ხალხის ძალღუმადური ცხოვრება დახატა ისეთი ხერხით, როგორც აქამდე იშვიათად თუ ვისმე მოუხერხებია ქართველთაგან“.

ეგნატე ნინოშვილის მოთხრობების პირველი კრებული გამოიცა 1892 წელს, 1920 წელს ე. ნი-

ნოშვილის ნაწარმოებები სამ ტომად გამოსცა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ.

ბოლოდროინდელი გამოცემებიდან აღსანიშნავია ალ. ლლონტის მიერ შედგენილი თხზულებათა სრული კრებული, რომელიც „საბჭოთა საქართველომ“ გამოსცა 1984 წელს. კრებულში შევიდა ე. ნინოშვილის თითქმის ყველა ნაწარმოები; უფრო ადრე, 1959-1960 წლებში იმავე გამომცემლობამ გამოსცა მწერლის თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად. მეორე ტომში გამოქვეყნდა ასევე ე. ნინოშვილის კერძო წერილები და პუბლიცისტური მასალები; 1940-იანი წლების შემდეგ ე. ნინოშვილის მოთხრობები სისტემატურად ქვეყნდებოდა „სასკოლო ბიბლიოთეკის“ სერიით. მწერლის ნაწარმოებები შესულია „ქართული მწერლობისა“ და „ქართული პროზის“ ტომეულებში.

ეგნატე ნინოშვილის ცხოვრება და შემოქმედება ჯეროვნად არის შესწავლილი და შეფასებული ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, მისი შემოქმედების შესახებ საინტერესო გამოკვლევები და წერილები გამოაქვეყნეს: ბ. ჟღენტმა, გ. ჯოხაძემ, ს. ჭილაიამ, გ. კალანღაძემ, ა. მახარაძემ და სხვებმა.

ეგ. ნინოშვილის თხზულებები თარგმნილია რუსულ, სომხურ და სხვა ენებზე.

მაცვალა მრევლიშვილი - 100

მ. ქორიძე,

მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკის მთავარი სპეციალისტი

მაცვალა მრევლიშვილი

მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკა მაცვალა მრევლიშვილის სახელობისა და ამ საპატიო სახელს იგი მრავალი წელია ღირსეულად ატარებს. წელიწადი ისე როგორ გაივლის, რომ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა ერთი ლამაზი დღე არ მიუძღვნან ამ ულამაზესი და უფაქიზესი ქალბატონის ნათელ ხსოვნას.

ამჯერადაც ასე იყო - 16 ივნისს ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა უამრავ სტუმარს მოუყარეს თავი და მათთან ერთად აღნიშნეს მაცვალა მრევლიშვილის საიუბილეო თარიღი - დაბადებიდან 100 წლისთავი.

ლონისძიების ორგანიზატორებმა ამ საღამოს ერთგვარი სიურპრიზის ხასიათი მისცეს - მაც-

ვალა მრევლიშვილის ოჯახის წევრებს - მის შვილიშვილს, ცნობილ არქიტექტორსა და დიზაინერს ბატონ გია (გიორგი) იაშვილს და შვილთაშვილს -ალდე იაშვილს (ცნობილი მხატვარ-კერამიკოსი ალდე კაკაბაძე მაცვალა მრევლიშვილის ქალიშვილია) საღამოზე შეკრებილთაგან მრავალი მცხეთელი მრევლიშვილი შეახვედრეს. ამ გარემოებამ კიდევ მეტი სითბო და უშუალობა შესძინა ღონისძიებას, რომლის მსვლელობის დროს წარმოჩნდა არა მხოლოდ ქ-ნ მაცვალა მრევლიშვილის მდიდარი შემოქმედება, არამედ მისი ბიოგრაფიაც, მისი მშობლიური ოჯახური გარემო.

მაცვალა მრევლიშვილი 1909 წლის 27 თებერვალს დაიბადა მცხეთაში. დედა - პელაგია ავა-

ლიშვილის ქალი გახლდათ, ხოლო მამა - ცნობილი მხატვარი, ქართული რეალისტური მხატვრობის ფუძემდებელი ალექსანდრე მრევლიშვილი. მაყვალა იზრდებოდა მამა-პაპისეულ სახლში, სვეტიცხოვლის სიახლოვეს (ეს სახლი ახლაც დგას მცხეთაში).

მრევლიშვილიანთ დიდი ოჯახი მუდამ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. მწერლობისა და ხელოვნებისადმი დიდი ინტერესისა და ცოდნის გამო, მათ ოჯახში სწორედ ამ წრის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს.

ასეთ გარემოში იზრდებოდა მაყვალა მრევლიშვილი მცხეთის წმინდა მინაზე და ამიტომაცაა მისი მშვენიერი საბავშვო პოეზია ღრმა ქართულ ფესვებზე ამოზრდილი, ქართული გარემოთი ნაკვები.

მაყვალამ, თავადაც შესანიშნავმა დედამ და ბებიამ, კარგად იცოდა ქართველი ბავშვის ბუნება და ხასიათი და სწორედ ამ თარგზე ჭრიდა უბრწყინვალეს საბავშვო შედეგებს: „ჭუპა-ჭუპა“, „ჩიტო, ჩიტო, ნაცარა“, „კუდრაჭა“, „კუნწულა“, „კიკლი-კიკლი კიბესა“, „ეს საწყალი კურდღელი“. ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი უკვდავ-უბერებელი სტრიქონი დაუტოვა მისგან შეყვარებულ პატარა მკითხველს. ბევრი მისი ლექსი დღესაც სიმღერებში ჟღერს და დიდი სიყვარულით სარგებლობს პატარებში.


ფურცელ-ფურცელ აიკინდა მაყვალა მრევლიშვილის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ამ შესანიშნავ საღამოზე. ბიბლიოთეკის პატარა

რა მკითხველებმა წაიკითხეს მაყვალას უამრავი ლექსი, გზადაგზა მის ლექსებზე შექმნილ სიმღერებსაც მღეროდნენ, მღეროდნენ საოცარი განცდითა და ხალისით, ჭეშმარიტი ბავშვური უშუალობით.

სწორედ ამ უშუალობას, დიდ სითბოსა და სიყვარულს გაუსვა ხაზი თავის გამოსვლაში მაყვალა მრევლიშვილის შვილიშვილმა ბ-მა გია იაშვილმა ც. „სასიამოვნოდ გაცნობილი და შეძრული ვარ, - განაცხადა მან, - ამ უმძიმეს დროს მცხეთის საბავშვო ბიბლიოთეკის თანამშრომლებს რომ შერჩათ უნარი და სურვილი, მოამზადონ და ორგანიზაცია გაუკეთონ ასეთ შესანიშნავ ღონისძიებას. გულს მითბობს და მაიმედებს ამ დარბაზში გამეფებული სითბო და სიყვარული და მთელი არსებით ვგრძნობ



ჩემს მცხეთურ ფესვებთან სიახლოვეს. დიდი მადლობა ამ შეხვედრის ორგანიზატორებს, მის მონაწილე მცხეთელებს და განსაკუთრებით, აქ თავმობრილ მრევლიშვილებს, რომლებსაც ესახელებათ ბებიაჩემის სახელი, ქედს ვიხრი ყველა თქვენგანის წინაშე და უზომოდ მიყვარხართ, ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე; ვგრძნობ, რომ საჭირო და აუცილებელია მცხეთელ მრევლიშვილებთან, ჩემს ნათესავებთან ურთიერთობის აღდგენა და განახლება. ვიცი, ამ ნაბიჯით ბებიას სულს შვებას მოვგვრი - მას მცხეთა უზომოდ უყვარდა! გმადლობთ ყველაფრისათვის“...



სიტყვა პროფესიონალზე

მზია ტოგონიძე

პროფესიონალი და კოლეგა

ბიბლიოთეკარის და ბიბლიოგრაფის პროფესია წინის უდიდესი სიყვარულის გარდა, რომელსაც საქართველოში „წინის ტრფიალს“ უწოდებენ, მოითხოვს უდიდეს ნებისყოფას, ერუდიციას, თავდადებას და თავმდაბლობას. იშვიათია ადამიანი, რომელშიც ყველა ეს თვისება ქარბადაა თავმოყრილი. საბიბლიოთეკო დარგის განვითარება სწორედ შემოჩამოთვლილი თვისებების ფლობას მოითხოვს.

ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრას 2008 წელს 70 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ საქართველოში ეს ერთადერთი კათედრა და სპეციალობა, სამწუხაროდ, გაუქმებულია, რაც მომავალში დიდ პრობლემებს შეუქმნის საბიბლიოთეკო დარგის განვითარებას საქართველოში.

აღნიშნული კათედრა თავისი არსებობის მანძილზე ზრდიდა კადრებს უმაღლესი საბიბლიოთეკო განათლებით. კათედრას 70 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ადამიანები. ხოლო კათედრის წევრები იყვნენ საქართველოს საბიბლიოთეკო საქმის თვალსაჩინო მოღვაწეები. ამ უნიკალური დარგის კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ მისი დამფუძნებლები გიორგი გიორგიძე და ნიკო ლორთქიფანიძე. შემდგომში კათედრის სათავეში ედგნენ ცნობილი მეცნიერები: გივი მიქაძე, ალექსანდრე ლორია, ზემფირა ტყაბლაძე და ინგა ფილაური. კათედრის ხელმძღვანელობით ფაკულტეტმა თავისი არსებობის მანძილზე ათეულ ათასობით სტუდენტი გამოზარდა, რომლებიც მუშაობდნენ და დღესაც მუშაობენ საქართველოს საბიბლიოთეკო სისტემაში.

იყო ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის კათედრის წევრი. ჩემი აზრით, უდიდესი პატივი, სიამაყის საფუძველი და ამავე დროს დი-

დი პასუხისმგებლობაცაა.

დარეჯან კოტეტიშვილი, კოტეტიშვილების ღირსეული გვარის ღირსეული წარმომადგენელი, ამ კათედრის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრია. იყო ბატონ ნიკო ლორთქიფანიძის ჯერ სტუდენტი, ხოლო შემდეგ მისი კათედრის წევრი, ეს მთელი სკოლაა. დარეჯან კოტეტიშვილი მთელი თავისი არსებით „წინის ტრფიალია“. სხვანაირად არც შეიძლება ითქვას, ის ხომ ისეთ ოჯახში იზრდებოდა, სადაც იცოდნენ წინისა და კითხვის ფასი. დარეჯან კოტეტიშვილის ძმა ფარნაოზ კოტეტიშვილი ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ყველა სტუდენტის საყვარელ ლექტორს წარმოადგენდა. მამიდა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, და - მერი საშუალო სკოლის დამსახურებული პედაგოგია. ასეთ წიგნიერ და ინტელიგენტურ ოჯახში იზ-



რდებოდა ქალბატონი დარეჯანი, ასე ყალიბდებოდა მისი პიროვნება წიგნიერ და კულტურულ გარემოში. ასეთმა ვითარებამ განაპირობა მისი არჩევანი - სწავლა განეგრძო ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტზე, რომლის წარმატებით დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს კათედრაზე ლაბორანტად ბატონ ნიკო ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. ეს პერიოდი მისთვის პროფესიონალიზმისკენ მიმავალი გზაა, რომელიც ქალბატონმა დარეჯანმა ღირსეულად განვლო. ცნობილი სპეციალისტების ხელმძღვანელობით მუშაობამ ის როგორც პროფესიონალი და ყველა სტუდენტისათვის საყვარელ ლექტორად ჩამოაყალიბა. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი ლექციები ბიბლიოგრაფიის ზოგად კურსსა და

მხატვრული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიაში.

ბიბლიოგრაფიული ძიება ერთ-ერთი ურთულესი და საინტერესო სფეროა ბიბლიოგრაფიაში. დარეჯან კოტეტიშვილისთვის კი ის იმდენად ნაცნობი და შეთვისებულია, როგორც იტყვიან, „თვალდახუჭული“ მოიძიებს საჭირო მასალას.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქალბატონ დარეჯანის მოღვაწეობა სტუდენტთა სამეცნიერო წრეების საქმეში. მისი ხელმძღვანელობით სტუდენტთა მიერ მომზადებული მოხსენებები გამოირჩეოდა აქტუალობით, სამეცნიერო კვლევების სიღრმით, თემატიკის მრავალფეროვნებით და საინტერესო დასკვნებით. განსაკუთრებული ადგილი ამ მოხსენებებში ეჭირა საქართველოს ერთ-ერთი ტანჯული კუთხის - ქართლის ისტორიას, კერძოდ, მისი მშობლიური სოფლის - კავთისხევის სკოლებისა და ბიბლიოთეკების ისტორიასა და თანამედროვე მდგომარეობას. დარეჯან კოტეტიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული სტუდენტთა სამეცნიერო თემები არა - ერთხელ ყოფილა დაჯილდოვებული საუნივერსიტეტო და რესპუბლიკურ სამეცნიერო კონფერენციებზე დიპლომებითა და ფასიანი საჩუქრებით.

ქალბატონი დარეჯანი წლების განმავლობაში კათედრაზე მუშაობის პერიოდში კითხულობდა ლექციებს და ატარებდა პრაქტიკულ მეცადინეობებს ჩვენი სპეციალობის ერთ-ერთ წამყვან და ძირითად დისციპლინებში, როგორცაა ბიბლიოგრაფიის ზოგად კურსი, მხატვრული ლიტერატურის და მხარეთმცოდნეობის ბიბლიოგრაფია. მას გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო შრომები: „დასავლეთ ევროპის მხატვრული ლიტერატურის პროზაული და დრამატული ნაწარმოებების ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა (1860-1904 წ. წ.)“ მუშაობდა საკვალიფიკაციო შრომაზე - „პერსონალური ბიბლიოგრაფია და მისი შედგენის პრინციპები“ - (აკაკი წერეთლის პერსონალური ბიბლიოგრაფიის მაგალითზე).

მას მრავალი სტატია აქვს გამოქვეყნებული საყურადღებო საკითხებზე.

დარეჯან კოტეტიშვილმა თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე აღზარდა ათასობით სტუდენტი, რომელთა სიყვარული დღესაც ალამაზებს და საინტერესოს ხდის მის ცხოვრებას.


სამწუხაროდ, ალბათ დარეჯან კოტეტიშვილიც, ისე როგორც ყველა სპეციალისტი, განიცდის სპეციალობის გაუქმებას, რომლის აღდგენის პერსპექტივა ოპტიმიზმის საშუალებას არ იძლევა.

გვინდა შევხვო დარეჯან კოტეტიშვილის პიროვნებას, როგორც მეგობარს. მას შეგიძლია თვალდახუჭული ენდო, არა მხოლოდ როგორც კოლეგას, არამედ როგორც ადამიანსა და მოქალაქეს.

მინდა ამ წერილით გამოვხატო ის გულისხმიერება, რაც კოლეგებს გაგვანჩნია ქალბატონი დარეჯანის მიმართ. ისიც აღვნიშნო, რომ ამჟამად ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა ნაკლებად იჩენს გულისყურს იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ათეული წლების განმავლობაში მუშაობდნენ აქ და მრავალი სასიკეთო საქმე გაუკეთებიათ. თუ მოქალაქეობრივი თვალსაზრისით ვიმსჯელებთ, ხელმძღვანელობის პროფესიული მოვალეობაა, მიაქციოს ამას ყურადღება და ყველა ღირსეულ ადამიანს თავისი შესაფერისი პატივი მიაგოს.

ამ თვალსაზრისით კარგ საქმეს აკეთებს ჟურნალი „საქართველოს ბიბლიოთეკა“, რომელიც არც თუ იშვიათად უთმობს თავის ფურცლებს ჩვენი დარგის ღვანლმოსილ მუშაკებს, რომელთა შორის ქალბატონი დარეჯანიცაა. აღსანიშნავია, რომ ის საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობს ამ ჟურნალში და საინტერესო კორესპონდენციებს აქვეყნებს.

ნაყოფიერი შემოქმედებითი საქმიანობა გვინდა ვუსურვოთ ჩვენს ღირსეულ კოლეგას, ქალბატონ დარეჯან კოტეტიშვილს.



პროფესიული დღესასწაული მსხეთაში



მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს მცხეთაში აღინიშნა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანების შექმნიდან 2 წლისთავი. ამ თარიღთან დაკავშირებით რესტორან „არმაზში“ მოენყო ამ დარგის თანამშრომლებთან შეხვედრა. შეხვედრას ესწრებოდნენ, მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ადგილობრივი ინტელეგენციის წარმომადგენლები, ცნობილი პირები და საზოგადო მოღვაწენი. შეხვედრას ხელმძღვანელობდა სპეციალური კომისია გაერთიანების გენერალური დირექტორის გოჩა ქავთარაძის თავკაცობით. ღონისძიებას უძღვებოდა კომისიის წარმომადგენელი მეგი მამალაძე. შეხვედრაზე ყველა სახის მხატვრული ნომერი წარმოდგენილი იყო ხელოვნების ადგილობრივი ძალებით. შეხვედრაზე გაერთიანების უმაღლესი ჯილდოები გადაეცათ დარგის ღვაწლმოსილ მუშაკებს. შემაჯამებელ ღონისძიებასა და საიუბილეო საღამოს წინ უსწრებდა ბიბლიოთეკებში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები. ახალშენის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ნ. თადიაშვილი) ღონისძიება მიეძღვნა სიყვარულის თემას. ლექსები წაკითხეს მკითხველებმა მ. ღარიბაშვილმა, მ. და თ. ვეშაგურებმა. ნ. მეზერიშვილმა, ზ. ჭონქაძემ და სხვებმა. დამსწრეთაგან სოფლის უხუცესებმა სიამოვნებით აღნიშნეს ბიბლიოთეკის ადგილი და ღვაწლი სოფლის კულტურულ ცხოვრებაში. მათ მადლობა გადაუხადეს გაერთიანების გენერალურ დირექტორს გ. ქავთარაძეს საბიბლიოთეკო ქსელის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის.

სოფ. არაშენდის სკოლის შენობაში, სადაც განთავსებულია სასოფლო ბიბლიოთეკა, მოენყო. შეხვედრა ამავე სკოლის ყოფილ პედაგოგთან და დირექტორთან ანი სისაურთან, რომელიც 50 წლის განმავლობაში პატიოსნად და ერთგულად ემსახურება სოფლის ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების საქმეს. ღონისძიებას უძღვებოდა ბიბლიოთეკარი ელენე სისაური. ღონისძიებას ესწრებოდნენ ანი სისაურის ყოფილი მოსწავლეები, მშობლები, პედაგოგები, ვისთვისაც მისაბაძი იყო პედაგოგების ნათელი, მაგრამ სიძნელეებით აღსავსე ცხოვრება.

ცნობილი მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის დაბადებიდან 55 წლისთავს მიეძღვნა

თემატური საღამო ძველი ქანდის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი მანანა თათარაშვილი - ბურიახინი). მცხეთელებისათვის საყვარელი მწერალი გოდერძი ჩოხელი ხშირად სტუმრობდა ბიბლიოთეკებს და მისი ბოლო ადგილსამყოფელიც ხომ მცხეთაშია, იგი აქ სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში განისვენებს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ მოსწავლეები: ლ. რუხანოვი, დ. თათარაშვილი, თ. ბადალოვი, თ. გორგაძე, ნ. ოქროპირიძე და სხვები. სოფლის მოსახლეობამ აღფრთოვანება ვერ დამალა ბავშვების გამოსვლების გამო, თუმცა იყო სევდანარევი მოგონებები და სიტყვები.

ქსნის სასოფლო ბიბლიოთეკაში (ბიბლიოთეკარი ლამარა ჯავახიშვილი) ჩატარდა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ვაზო, ლამაზო, ფესვონაკურთხო“. შემოდგომის ხვავისა და ბარაქის თემას მიეძღვნა არაერთი ნომერი, ლექსი, სიმღერა. ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოსწავლეები: ს. ხარაბაძე, ს. სურამელაშვილი, თ. მურჯიკნელი და სხვები.

სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებები ჩატარდა ბინმენდის,.... წეროვნის, მუხრანის, ნიჩბისისა, ნავდარაანთკარის და მცხეთის ცენტრალურ საბავშვო ბიბლიოთეკებში.

მცხეთის საბიბლიოთეკო ქსელში ჩატარებული თითოეული შეხვედრა მკითხველთან, ღონისძიებების ნაირფეროვნება აქტიურ იერსახეს აძლევს მთლიანად ბიბლიოთეკების მუშაობას. ასეთი ღონისძიებები გამოცდილი ფორმაა მკითხველთან ურთიერთობაში. ბიბლიოთეკების აბსოლუტური უმრავლესობა გამოცდილი პროფესიონალია, ისინი აძლიერებენ მკითხველთან ინდივიდუალურ მუშაობას, განსაკუთრებით დაწყებითი სასოკლო ასაკის ბავშვებთან, რომელთა აქტიური მონაწილეობა ღონისძიებებში ნათლად მეტყველებს მათ დამოკიდებულებას წიგნთან, ბიბლიოთეკასთან. სოფლის კულტურულ ცხოვრებას სწორედ ბიბლიოთეკები წარმართავენ, ამიტომაც მისაბაძია მცხეთის მუნიციპალიტეტის ასეთი მიდგომა კულტურის ამ დაწესებულებებისადმი.

ინფორმაცია მოგვანოდეს:

მ. ზარიძემ, ი. პაპუაშვილმა

ინფორმაცია

გურამ თაყნიაშვილი

1. შთაგონებითა და გზებით ნაწერი

როდესაც შალვა ანდიაშვილის ლექსების კრებულს ეცნობით, თვალში გეცემათ მშობლიური მხარისა და ქვეყნის სიყვარულით გულანთებული კაცის შემართული, ომახიანი, ხანდახან სევდანარევი შინაგანი ძახილი. ეს ხმა მშობლიურ მიწაზე მკვიდრად მდგომი კაცის გულიდან ისმის. იგი უფრო გონების ხმაა, მონოდებაა ჩვენი ყოფიერების შესაცვლელად ნათქვამი და არაერთხელ განმეორებული. პოეტის აზრით, ადამიანს მაშინ აქვს უფლება შევებით იცხოვროს საკუთარ სახლში, როდესაც იგი ქვეყანას ემსახურება შთაგონებითა და ადამიანური შესაძლებლობებით. ლექსებში: „თუ გინდა“, „ძალა გვჭირდება ქართველებს“, „მაღალი მთიდან“, „მიყვარხარ, მამულო“ და სხვა. პოეტის მიერ დახატული სოფლის სურათები აღსავსეა პატრიოტული პათოსით, მგზნებარე სტრიქონებითა და დიდი შინაგანი შემართებით.

ბუნების წიაღში აღზრდილი პოეტისათვის უცხოა გარინდებული, ცივი ატმოსფერო; გარემოს იგი ხატავს მოძრაობაში, ადამიანებთან ურთიერთობაში:

„ეს სოფელი ჯავახია, ჩვენი სამოსახლო, არწივების საბუდარი, მაშავერის ახლოს“.

ავტორის მშობლიური სოფელი ჯავახი ძველი ისტორიული სოფელთაგანია ქვემო ქათლში, მდინარე მაშავერის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის თანამედროვე მკვიდრნი სიამაყით ისტენებენ წინაპრებს, რომლებსაც არაერთხელ უსახელებიათ თავი „მონინავე სადროშოს“ სახელით გამოსულ მებრძოლთა რიგებში. შ. ანდიაშვილი ახლაც ფხიზელი თვალთა უმზერს სოფლის ყოფას, ნუხს ქვეყნის დღევანდელი ბედით, როცა „გვალაგებებს შინაც ხიზანი“. პოეტი უფალს შესთხოვს,

ჩააქროს „ცის ქვეშ კოცონი ცოდვისა“, რათა სიკეთემ იზვიმოს და ქვეყანას უკეთესობისაკენ შეეცვალოს იერსახე.


ავტორი არასოდეს არ მდგარა ცხოვრების მიღმა; მან საკუთარ თავზე გამოსცა ამაქვეყნიური ყოფის, სირთულეც და სიხარულიც, მაგრამ რწმენით შთაგონებულს არასოდეს დაუკარგავს სულიერი სინამდვილე, მამულის სიყვარულის გრძნობა და საკუთარი ადგილი იმ საზოგადოებაში, რომელშიაც იგი სისხლხორციელადაა შეზრდილი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სამოცდაათწელს გადაცილებული პოეტი ახლაც შესაშური ენერჯითა და ძალისხმევით ინარჩუნებს ემოციების გამოხატვისა და გარემოს მხატვრულად აღქმის უნარს. სწორედ ასეთი პათოსითა და შინაგანი კულტურის საოცარი ორგანი-

ზების ნიშნით შეძლო მან ბოლო ორი წლის მანძილზე გამოეცა ორი კრებული: ერთი პოეტური - „ყვივის ნაბრძოლი არწივი“ და მეორე პროზაული - „პლანეტა აგი“, ორივე კრებულის გამოცემა ითავა გაზეთ „დმანისის“ რედაქციამ (რედაქტორი რაინდი ასლამაზიშვილი). პროზაული ნაწერების კრებულში ავტორი გვიხატავს ისტორიულ პიროვნებებს, საქართველოს წარსულის ცალკეულ სურათებს და მშობლიური სოფლის ყოფაცხოვრებას, მის ბუნებას, მშრომელთა შემართებასა და სოციალურ გარემოს.

შ. ანდიაშვილის ლექსების უმრავლესობა ღრმად პატრიოტული მოტივითაა დაწერილი; თითოეულ ტაეპში იგრძნობა ავტორის სულიერი ნუხილი, რომელიც გამონვეულია მშობლიური ქვეყნის დღევანდელი მდგომარეობით. პოეტის ნუხილი სულაც არ არის იმედგაცრუებული მესიტყვის ამაო ღალადისი. ეს სტრიქონები ამავე





დროს აღსავსეა ოპტიმისტური, ჭაბუკური პათოსითა და მოტივით. მართალია, მის ლექსებში ნაკლებად არის მუსიკალური ტონი, შეფერილობა, მაგრამ აზრის სიცხადე კეთილგანწყობას უქმნის მკითხველს, რომელიც ადვილად რწმუნდება იმაში, რომ ავტორმა შეძლო ზოგადის გათავისება და იგი აღიქვა საკუთარი ტკივილის სახით.

პოეტმა ლექსების კრებულს დაურთო მოგონება საკუთარი მამის შესახებ „პატარა კოლას ნამბობი“. აქ მამამისი იგონებს, თუ როგორ გაუწია მან 1880 წელს საკუთარი ეტლით მეგზურობა ილია ჭავჭავაძესა და ერთ რუს ბატონს, რომლებიც სამსახურებრივ საქმეზე ჩავიდნენ




დმანისში (მამინდელ ბაბკირეთში). გზადაგზა ილიას დიდი ინტერესი გამოუჩენია სოფლების ისტორიისა და ბუნების საკითხებისადმი, ხოლო ორი დღის შემდეგ უკან დაბრუნებულს სპეციალური წერილიც გამოუქვეყნებია „პატარა კოლას“, მეეტლის მშობლიური სოფლის - მიჯის შესახებ („დროება“,

1880, VII. 20, №154, ილიას ჩასვლა ბაბკირეთში). აქ მინიშნებული შ. ანდიაშვილის ორი კრებულის მკითხველებს ვურჩევთ, არ მიიჩნიონ ეს წიგნები ავტორის გონების ზეიმად. იგი აგრძელებს შემოქმედებით წინსვლას, წერას, აზროვნებას, მოძრაობას. ღმერთმა უკურთხოს კალამი და გაუთავსოს ძალა და წადილი მხატვრულ სიტყვასთან ჭიდილისა.

2. საკლასიფიკაციო ცხრილების ახალი გამოცემა

მიმდინარე წელს საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციამ გამოსცა უნივერსალური ათწლიანი კლასიფიკაციის (უაკ) შემოკლებული ცხრილები. წიგნის შედგენაზე მუშაობდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სპეციალისტთა ჯგუფი. (მთავარი რედაქტორი ი. ლარიბაშვილი). ცხრილებში ასახულია სისტემატიკის ზოგადი მეთოდოლოგია, შემდეგ წარმოდგენილია ძირითადი ცხრილები. საკლასიფიკაციო სქემის 9 განყოფილებების (მე-4 განყოფილება თავისუფალია) დეტალიზაცია საშუალებას აძლევს სისტემატორს მრავალმხრივ ასახოს საცნობარო აპარატში თითოეული საბიბლიოთეკო დოკუმენტი. საკლასიფიკაციო ცხრილების წინა ქართული გამოცემისაგან (თბ., 1998) განსხვავებით, წინამდებარე ცხრილში განსხვავებულად არის წარმოდგენილი მე-8 განყოფილება, რომელიც შეიცვალა УДК-ს

კონსორციუმის მიერ. ასევე დეტალურადაა წარმოდგენილი მე-2 განყოფილება (რელიგია, თეოლოგია), წიგნზე დართული მსაზღვრელების ცხრილები საშუალებას იძლევა განისაზღვროს დოკუმენტების გამოცემის ფორმა, საგნის განხილვის დრო, გეოგრაფიული ასპექტი და ა. შ.; წიგნს დაერთვის ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.



საკლასიფიკაციო ცხრილები გამოიცა მცირე ტირაჟით. (გამზადებულია მისი მეორე, უფრო სრული გამოცემა კიდევ 350 ეგზემპლარის რაოდენობით), სპეციალისტებს, სისტემატორებს შეუძლიათ თავისი მოსაზრებები და წინადადებები მოგვანოდონ ჟურნალის რედაქციაში. ტელ: 36-09-51 ან საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში - ტელ: 36-34-13.

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

■ 7 ოქტომბერს, კაპიტალური შეკეთების შემდეგ, გაიხსნა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი. ფუნქციონალური განყოფილების გარდა აქ გადმოვიდა ბიბლიოთეკის ადმინისტრაცია. გახსნას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, პარლამენტის წევრები, მკითხველები, ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

■ 15-16 ოქტომბერს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. კონფერენცია მიმდინარეობდა ორი დღის განმავლობაში წარმოდგენილი იყო 50-ზე მეტი მოხსენება საქართველოს ისტორიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის, წიგნის ისტორიის, ქართული ხელოვნების და სხვ. აქტუალურ პრობლემებზე. კონფერენციის მუშაობაში

მონაწილეობდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ახალციხის მუზეუმის, საქართველოს საპატრიარქოს, ქუთაისის ცენტრალური არქივის წამყვანი სპეციალისტები, ექსპერტები; მოხსენებები წარმოადგინეს ასევე ამერიკელმა სტუმრებმა: სტივენ ჯონსმა და ჰეტერ ჯ. უეიქფილდმა. კონფერენციას ესწრებოდნენ ქუთაისის სამხარეო ადმინისტრაციისა და მერიის პასუხისმგებელი პირები, ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდის



წარმომადგენელი ქუთაისში, გოეთეს ინსტიტუტის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი დასავლეთ საქართველოში. უმაღლესი სასწავლებლებიდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის, გორის, ზუგდიდის და სოხუმის უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლები.

კონფერენცია ჩატარდა ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერით, საინფორმაციო მხარდაჭერა განახორციელეს ტელევიზია „იმედმა“ და რადიო „ძველმა ქალაქმა“, ადგილობრივმა ტელევიზიებმა და გაზეთებმა. დაგეგმილია კონფერენციის მასალების გამოცემა.

■ 23-30 სექტემბრის ქუთაისის საქალაქო თვითმმართველობისა და სამეცნიერო ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარდა წიგნის ფესტივალი. ფესტივალს მასპინძლობდა ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ფესტივალზე თავიანთი გამოცემები წარმოადგინეს თბილისის და ქუთაისის წიგნაღმომცემელმა ორგანიზაციებმა.

■ 30 ოქტომბერს მცხეთაში აღინიშნა მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დანესებულებათა გაერთიანების შექმნის ორი წლისთავი. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა გაერთიანების გენერალური დირექტორი გ. ქავთარაძე. წარმოდგენილი იყო ადგილობრივი მუსიკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფების სიმღერები, ცეკვები; ღონისძიებაზე გაერთიანების ჯილდოები გადაეცათ დარგის ღვაწლმოსილ ბიბლიოთეკარებს, სპეციალისტებს. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები, სტუმრები თბილისიდან.

■ 26 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში საჯარო ლექცია წაიკითხა აშშ კონგრესის ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა, თეოლოგიის დოქტორმა პაულ კრეგომ. მოხსენების თემას შეადგენდა კონგრესის ბიბლიოთეკასა და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის თანამშრომლობის, ქართული წიგნების გადაგზავნისა და ორმხრივი კონტაქტების გაღრმავების საკითხების.

■ 5 დეკემბერს საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის სხდომა. განიხილეს საბიბლიოთეკო საქმის განვითარების კონცეფციის შემუშავების, ბიბლიოთეკარის პროფესიული ეთიკის კოდექსის მიღებისა და ასოციაციის გამგეობის ახალი შემადგენლობის არჩევნების საკითხები. გადამყდა, შეიქმნას სპეციალური კომისია კონცეფციის შესამუშავებლად; ასოციაციის გამგეობისა და პრეზიდენტის არჩევნები ჩა-

ტარდეს 2010 წლის აპრილში. სხდომაზე მოისმინეს ინფორმაცია იმელის (ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის) ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის გადანაწილების შესახებ. ლ. თაქთაქიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ბიბლიოთეკის ქართული ფონდის დიდი ნაწილი გადატანილია პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, დარჩენილია რუსულენოვანი ფონდი.

სხდომაზე მოისმინეს ასოციაციის პრეზიდენტის ი. ღარიბაშვილის ინფორმაცია მისი მივლინების შესახებ აბერდენში (შოტლანდია), ჰააგასა და ალექსანდრიაში. როგორც ცნობილი გახდა, 2009 წლიდან მიმდინარეობს ევროკავშირის პროექტი „ახალი სამაგისტრო პროგრამები საბიბლიოთეკო საქმეში“. ამ პროგრამაში მონაწილეობს საქართველოც - საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციისა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახით. ოქტომბერ-ნოემბერში ამ ორგანიზაციათა 5 წარმომადგენელმა გაიარა სამაგისტრო პროგრამის საწყისი ეტაპი. დაგეგმილია 2010 წლიდან საქართველოში შეიქმნას 4 სემესტრიანი სამაგისტრო პროგრამა.

ჰააგაში (ნიდერლანდები) სპეციალური კონფერენცია მიეძღვნა საბიბლიოთეკო კლასიფიკაციის პრობლემებს. კონფერენციის ორგანიზატორი იყო უაკ-ის კონსორციუმი. კონფერენციაზე ი. ღარიბაშვილმა წარადგინა უაკ-ის ქართული გამოცემა (თბ., 2009);

18-22 ნოემბერს ალექსანდრიის განახლებულ ბიბლიოთეკაში ჩატარდა eIFL, net საერთაშორისო კონსორციუმის „გენერალური ასამბლეა“. კონსორციუმი დაფუძნდა 1999 წელს, მასში გაერთიანებულია 55 ქვეყნის ბიბლიოთეკები, საქართველოს ბიბლიოთეკები ამ კონსორციუმის წევრებია მისი დაფუძნების წლიდან. ასამბლეაზე იმსჯელეს სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ერთობლივი გამოწერის, ინტერნეტში სტატიების პუბლიკაციის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვისა და სხვ. აქტუალურ პრობლემებზე. ასამბლეას ესწრებოდნენ მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერო გამომცემლობების წარმომადგენლები.

■ 16 ნოემბერს ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სტუმრად იმყოფებოდა აშშ ფლორიდის უნივერსიტეტის გოლდსტეინის ბიბლიოთეკის თანამშრომელი ჰეტერ ჯ. უეიჭფილდი. სტუმარი გაეცნო ქალაქის საბიბლიოთეკო სისტემის მუშაობას. მასალების საფუძველზე შედგენილი მოხსენება წარედგინება IFLA-ს, შესაძლებელია რეკომენდაციების საფუძველზე გარკვეული დახმარება გაეწიოს საქართველოს სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკებს.

ჩვენი კალენდარი



2010 წლის ღირსუესანიშნავი და საიუბილეო თარიღების კალენდარი


იანვარი

6 - 145 წლის წინათ (1865) დაიბადა ნიკო მარი - ცნობილი ენათმეცნიერი, ფილოლოგი, არქეოლოგი. გარდაიცვ. 1934 წ.

7 - შობა. უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესი (ძველი სტილით 25 დეკემბერი).

- 105 წლის წინათ (1905) დაიბადა კონსტანტინე ლორთქიფანიძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1986 წ.

8 - 110 წლის წინათ (1900) დაიბადა გიორგი ლეონიძე - ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1966 წ.

9 - 115 წლის წინათ (1895) დაიბადა ნიკოლოზ (ნიკო) ბერძენიშვილი - ქართველი ისტორიკოსი, პროფესორი. გარდაიცვ. 1965 წ.

13 - 105 წლის წინათ (1905) დაიბადა სოსო იორამაშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1965 წ.

14 - ქართული თეატრის დღე.

15 - 215 წლის წინათ (1795) დაიბადა ალექსანდრე გრიბოედოვი - რუსი მწერალი და დიპლომატი. გარდაიცვ. 1829 წ.

20 - 170 წლის წინათ (1840) დაიბადა ალექსანდრე ყაზბეგი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1893 წ.

25 - 100 წლის წინათ (1910) დაიბადა გიორგი სამხარაძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1982 წ.

26 - 85 წლის წინათ (1925) დაიბადა ლევან სანიკიძე - ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 2002 წ.

27 - ნინოობა.

29 - 150 წლის წინათ (1860) დაიბადა ანტონ პავლეს ძე ჩეხოვი - რუსი მწერალი. გარდაიცვ. 1904 წ.

თებერვალი

8 - დავითობა. ხსენება წმინდა დავით მეფისა აღმაშენებლისა (1073-1125).

10 - 120 წლის წინათ (1890) დაიბადა ბორის პასტერნაკი - რუსი პოეტი და მწერალი. გარდაიცვ. 1960 წ.

14 - 160 წლის წინათ (1850) დაიბადა იოსებ ბაქრაძე - ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, გარდაიცვ. 1904 წ.

26 - 115 წლის წინათ (1895) დაიბადა კოლაუ ნადირაძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1990 წ.

მარტი

3 - დედის დღე.

8 - ქალთა საერთაშორისო დღე.

10 - 105 წლის წინათ (1905) დაიბადა ლევან გოთუა - ქართველი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1973 წ.

26 - 335 წლის წინათ (1675) დაიბადა ქართლის მეფე - პოეტი ვახტანგ VI. გარდაიცვ. 1737 წ.

27 - თეატრის საერთაშორისო დღე.

აპრილი

2 - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.

- 115 წლის წინათ (1895) დაიბადა ტიცინ ტაბიძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1937 წ.

- 150 წლის წინათ (1860) დაიბადა მარიამ დემურია - ქართველი საზოგადო მოღვაწე, ყურნალ "ნაკადულის" დამაარსებელი. გარდაიცვ. 1910 წ.

- 205 წლის წინათ (1805) დაიბადა ჰანს ქრისტინ ანდერსენი - დანიელი მეზღაპრე. მწერალი. გარდაიცვ. 1875 წ.

4 - ბრწყინვალე აღდგომა იესო ქრისტესი.

7 - ხარება.

9 - საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე (1989 წ.).

14 - ქართული ენის დღე.

- 95 წლის წინათ (1915) დაიბადა შალვა ამისულაშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1965 წ.

- 100 წლისწინათ (1910) დაიბადა გიორგი შატბერაშვილი - ქართველი მწერალი და დრამატურგი. გარდაიცვ. 1965 წ.

22 - დედამიწის მსოფლიო დღე.

23 - წიგნის საერთაშორისო დღე.

30 - საქართველოს ბიბლიოთეკართა დღე.

მაისი

13 - 170 წლის წინათ (1840) დაიბადა ალფონს დოდე ფრანგი რომანისტი და დრამატურგი. გარდაიცვ. 1897 წ.

14 - თამარობა. ხსენება წმინდა კეთილმორწმუნე ქართველისა დიდი მეფისა თამარისა.

17 - 85 წლის წინათ (1925) დაიბადა ფრიდონ

ხალვაში - ქართველი პოეტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი.

- 205 წლის წინათ (1805) დაიბადა სოლომონ დოდაშვილი - განმანათლებელი ფილოსოფოს-ლოგიკოსი, ჟურნალისტი, 1832 წ. შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გარდაიცვ. 1836 წ.

24 - 105 წლის წინათ (1905) დაიბადა მიხეილ შოლოხოვი. რუსი მწერალი. გარდაიცვ. 1984 წ.

26 - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე.

ივნისი

1 - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

- ქართველთა განმანათლებლის, მოციქულთა სწორის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლა.

5 - გარემოს დაცვის მსოფლიო დღე.

6 - 135 - წლის წინათ (1875) დაიბადა თომას მანი - გერმანელი მწერალი. გარდაიცვ. 1955 წ.

11 - 80 წლის წინათ (1930) დაიბადა მორის ფოცხინი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1993 წ.

15 - 80 წლის წინათ (1930) დაიბადა ნოდარ შამანაძე - ქართველი პოეტი.

16 - 80 წლის წინათ (1930) დაიბადა ოტია იოსელიანი - ქართველი მწერალი.

21 - 170 - წლის წინათ (1840) დაიბადა აკაკი წერეთელი - ქართველი ხალხის დიდი მგოსანი. გარდაიცვ. 1915 წ.

22 - 85 წლის წინათ (1925) დაიბადა მიხეილ ქვიციანიძე - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 2005 წ.

- 85 წლის წინათ (1925) დაიბადა სულიკო ჟღენტაძე - ქართველი კინო-დრამატურგი. გარდაიცვ. 1998 წ.

25 - 120 წლის წინათ (1890) დაიბადა მარიჯანი (მარიამ ალექსიძე) ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე. გარდაიცვ. 1978 წ.

ივლისი

1 - 70 წლის წინათ (1940) დაიბადა გრიგოლ ჯულუხიძე - ქართველი პოეტი.

19 - 90 წლის წინათ (1920) დაიბადა ვანო ჟურმელაშვილი - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1984 წ.

20 - 105 წლის წინათ (1905) დაიბადა ნიკო საბადაშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1963 წ.

21 - 305 წლის წინათ (1705) დაიბადა დავით გურამიშვილი - ქართველი პოეტი. გარდაიცვ. 1792 წ.

აგვისტო

3 - ილიაობა.

4 - 75 წლის წინათ (1935) დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი. ქართული ფოლკლორის მოამბე. მწერალი. გარდაიცვ. 2008 წ.

5 - 160 წლი სწინათ (1850) დაიბადა გი დე მოპასანი - ფრანგი მწერალი. გარდაიცვ. 1893 წ.

21 - 125 წლის წინათ (1885) დაიბადა ერონტი ქიქოძე. ქართველი ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, საზ. მოღვაწე. გარდაიცვ. 1960 წ.

24 - საქართველოს კონსტიტუციის დღე.

28 - მარიამობა. - მიძინება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა.

სექტემბერი

1 - მშვიდობის მსოფლიო დღე.

8 - 85 წლის წინათ (1925) დაიბადა ოთარ ჭელიძე. ქართველი პოეტი.; გარდაიცვ. 1998 წ.

15 - 120 წლის წინათ (1890) დაიბადა აგათა კრისტი - ინგლისელი მწერალი. გარდაიცვ. 1976 წ.

17 - 130 წლის წინათ (1880) დაიბადა ნიკო ლორთქიფანიძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1944 წ.

21 - შობა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის მარიაამისა.

ოქტომბერი

1 - მუსიკის საერთაშორისო დღე.

3 - 115 წლის წინათ (1895) დაიბადა სერგეი ესენინი - რუსი პოეტი. გარდაიცვ. 1925 წ.

14 - მცხეთობა. სვეტიცხოვლობა. კვართის დღე-სასწაული.

27 - 170 წლის წინათ (1840) დაიბადა იაკობ გოგებაშვილი - ქართველი მეცნიერი, პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და მწერალი. გარდაიცვ. 1912 წ.

ნოემბერი

10 - ახალგაზრდობის მსოფლიო დღე.

- 100 წლის წინათ (1910) დაიბადა გიორგი ნატროშვილი - ქართველი მწერალი და საზ. მოღვაწე. გარდაიცვ. 1998 წ.

20 - 90 წლის წინათ (1920) დაიბადა ოთარ ჩხეიძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 2007 წ.

- 130 წლის წინათ (1880) დაიბადა მიხეილ ჯავახიშვილი (ნამდვილი გვარი ადამაშვილი) - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1937 წ.

23 - გიორგობა.

30 - 175 წლის წინათ (1835) დაიბადა მარკ ტვენი - ცნობილი ამერიკელი მწერალი. გარდაიცვ. 1910 წ.

დეკემბერი

30 - 145 წლის წინათ (1865) დაიბადა რ. კიპლინგი. ინგლისელი მწერალი. გარდაიცვ. 1935 წ.

- 180 წლის წინათ (1830) დაიბადა დანიელ ჭონძაძე - ქართველი მწერალი. გარდაიცვ. 1860 წ.

შემდეგელი ქვეთავან ნიკურაძე

მირზა გელოვანი სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე

საცნობარ საკითხავი

როგორ იხსენიებდნენ ბიბლიოთეკას ქველად სხვადასხვა ქვეყნებში

უძველეს დროიდან დღემდე ბიბლიოთეკა ხალხის თვალში ყოველთვის სიბრძნისა და ცოდნის გაგებას უკავშირდებოდა, არც თუ იშვიათად - სულიერ მოძრაობებს. განსაკუთრებით მრავალგვარად მოიხსენიებდნენ ბიბლიოთეკას ჩინელები. ასე მაგალითად, მას უწოდებდნენ: განდგომილთა ქოხი, ოქროს კალათი, მოკავშირეთა პალატა (მენ ფუ), პავლიონი, წიგნის სამამულო (კარმიდამო, ეზო), განმარტოებული სიხარულის ბაღი, წიგნის ყვავილოვანი ბაღი და სხვ.

იაპონელები ბიბლიოთეკას წიგნად განძს უწოდებდნენ (ბუნკო), ენის ინსტიტუტს (ტერიოკანი), წიგნისა და ილუსტრირებული მასალების ინსტიტუტს, იყო აგრეთვე ე.წ. წმინდა ბიბლიოთეკა (პიტაკა-ტაკი).

არაბები ბიბლიოთეკებს სიბრძნის სახლებსა

და მეცნიერების სახლებს უწოდებდნენ.

ჩვენში ადრე ბიბლიოთეკები მოიხსენიებოდა წიგნსაცავებად ან სანიგნეებად.

ამჟამად მთელ ევროპასა და მისი გავლენით - მსოფლიოში ბიბლიოთეკებს „ერის მეხსიერებას“ და „მულტიმედიურ ენციკლოპედიას“ უწოდებენ. რაც ხატოვნად გამოხატავს ბიბლიოთეკის არსს, ოფიციალურად ის ზოგან ატარებს „მედია ცენტრისა“ და „მედიათეკის“ სახელწოდებას, არის შემთხვევები, ბიბლიოთეკა საინფორმაციო ცენტრების ფუნქციებსაც ატარებენ.

ბიბლიოთეკებისათვის ამგვარი სახელდება მთლიანადაა დაკავშირებული მათ ფუნქციონალურ დანიშნულებასთან, რაც ეპოქალურ ცვლილებებს ექვემდებარება.

მილოცვა

ჩვენი ჟურნალის რედაქტორს

ბატონ ალექსანდრე ლორიას

გვსურს გამოვხატოთ თქვენდამი ღრმა პატივისცემა და გულწრფელი სიყვარული თქვენი დაბადებიდან 75-ე წლისთავის გამო. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თქვენს შემოქმედებით საქმიანობას, ჟურნალისტურ მოღვაწეობას და ვრწმუნდებით, რომ თქვენ უძღვებით ფრიად კეთილშობილური მისიის მქონე პერიოდულ გამოცემას. თქვენი ხელმძღვანელობით ჟურნალმა თავისი ადგილი დაიმკვიდრა ქართულ ჟურნალისტიკაში, მოიპოვა ათასობით ბიბლიოთეკართა სიყვარული, უფრო მეტად გააღვივა სურვილი კულტურის ამ კეთილშობილური დარგისადმი უანგარო სამსახურისა;

გამოვხატავთ რა ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკარების კეთილ ნებას, გვინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, სიმხნევე და შემართება პირველი ქართული პროფესიული ჟურნალის დღეგრძელობისათვის.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა;

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაცია;

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამდგომთა საზოგადოება;

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა.

ჩვენი გამოფენა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
განახლებული კორპუსის გახსნაზე



ი40/2





თბილისის ბიბლიოთეკართა სემინარი,
1970 წ.



თბილისის ვად ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და
ბიბლიოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთა გამოშვება,
1974 წ.

2010

שנת ה'תש"ס

אשר לך! אלה